კვირა, 6 ივლისი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 33 ყოველკვირეული ჟურნალი № 33

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია და კანტორა

ღია ყოველ დღე { დილის 9—1-დე. საღამოს 3—5½-დე.

კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

სისხლიანი გეგმა

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა მენშევიკური პარტია ცდილობს დაკარგული ბატონობის და პორტფელების კვლავ დაბრუნებას,

მაგრამ უნდა ითქვას აშკარად და დაუმალავად: ეს ცდა არის ხშირად ავანტიურისტული და სულელური.

ჩვენ ვიცით, რომ პირველ ხანებში ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა ნ. ჟორდანიას მთავრობის „საქართველოში“ დაბრუნების და აქედან ბოლშევიკების გარეკის შესახებ.

ამ ჭორებით სულდგმულობდა დიდი და პატარა, მენშევიკი და ყველა ის, ვინც რამე დაჰკარგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით.

მაგრამ უკვე მეოთხე წელია, რაც ჩვენში გაბატონებულია კომუნისტური პარტია და ეწევა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობას, ხოლო საზღვარ-გარეთ გადარეკილი მთავრობა და მისი ამალა ჯერ-კიდევ პარიზშია და განაგრძობს გეგმების თხზვას საქართველოში დაბრუნების და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების მიზნით.

საქართველოს მენშევიკური პარტია საზღვარ გარეთელი ბიუროს რჩებით და დირექტივებით თავიდანვე დაადგა ინტერვენციის და აჯანყების გზას, მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა სოც.-დემოკრატიის 10 აპრილის რეზოლიუციაში უარყოფილი და დაგმობილი იყო.

ამის გამო ამ უკანასკნელ ოთ.ხი წლის განმავლობაში დიდძალი რევოლიუციონური მასსა—პარტიის წევრები ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას და არჩია კომპარტიასთან მისვლა, მასთან თანამშრომლობა.

ყველამ იცის, რომ მასსას ამა თუ იმ სახით გაყვნენ ზოგიერთი ცნობილი ლიდერები და კომპარტიასთან დაიწყეს თანამშრომლობა კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე.

დარჩა ჰაერში გამოკიდული და პარტიული მასსის მიერ ზურგშექცეული არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რომელიც დღემდე განაგრძობს თავის ხეპრე პოლიტიკას.

ამ არალეგალურ კომიტეტს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საზღვარ გარეთიდან ხელმძღვანელობს სოც.-დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო. ამ ბიუროს სულის ჩამდგმელია ნ. ჟორდანია, რომლის უკანასკნელი წერილი არალეგალურ. ცეკასადმი ხელში ჩაუვარდა საბჭოთა ხელისუფლებას. ეს წერილი ინსტრუქციული ხასიათისა,

რას სწერს ნ. ჟორდანია „აქაურებს?“

ის სწერს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენათ არსებობს ორი პირობა: ან შინაური კრიზისი საბჭოთა წყობილების, ან და საგარეო გართულება.

როდის მოხდება ეს?

ამ კითხვაში წარსული მწარე გამოცდილების შემდეგ ნ. ჟორდანია უფრო ფრთხილად იქცევა და სწერს: „ვინაიდან არავინ არ იცის, როდის მოხდება ეს, ხოლო პოლიტიკური პარტია უნდა ეწეოდეს მუშაობას, საჭიროა მზადება ამ კრიზისის დროისთვის“. ამას წინეთ კი ყოფილ მენშევიკების საპასუხო წერილში იგივე ნ. ჟორდანია სწერდა, რომ საქართველოს განთავისუფლების დღე მოახლოვებულია, შეიძლება ამას წლეები დასჭირდეს, შეიძლება თვეებიო,—უმატებდა იქვე.

რასაკვირველია, ნ. ჟორდანიაშ კარგად იცის, თუ რამდენად შესაძლებელია და მოსალოდნელი ეს „განთავისუფლება“, მაგრამ ის მასების მოსატყუილებლად და „ყოველ დღიური მუშაობისათვის“ ნიადაგის მოსამზადებლად აღნიშნავდა, რომ „შეიძლება ეს თვეების საქმე იყოსო“. დღეს კი უფრო ჭკუიანად იქცევა და სწერს, „ვინაიდან არავინ იცის, თუ როდის მოხდება ესო და სხვ. ამ „ვინაიდანიდან“, აშკარაა, რომ ნ. ჟორდანია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა წყობილების არც საშინაო და არც საგარეო კრიზისზე დაყრდნობა არ შეიძლება, ეს არ არის მოსალოდნელი, და ამიტომ არალეგალურ ცეკას ურჩევს დაადგეს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების გზას.

და ის იძლევა მთელ გეგმას ამ შეიარაღებული აჯანყებისათვის. აჯანყება მისი აზრით „არამც და არამც ქართველებმა არ უნდა დაიწყონ, ის უნდა დაიწყონ მთიელებმა, რომლებმაც კავკასიონის ქედი უნდა გადაუჭრან რუსეთს და აქ უნდა გამაგრდეს აჯანყებულთა ჯარები. (იგულისხმება საქართველოც უნდა მიეშველოს ჩოლოყაშვილების ბანდებით და სხვ.) მხოლოდ მას შემდეგ, როცა მთელ ამიერ-კავკასიაში დამყარდება „დემოკრატიული“ ხელისუფლება, მოვლენ საზღვარ-გარეთიდან ქართველებიც და ევროპაც მოგვაქცევს ყურადღებასო.

აი მთელი შინაარსი ნ. ჟორდანიას გეგმისა.

მაშასადამე, აჯანყება და შემდეგ ინტერვენცია, აი მთელი პოლიტიკური ფილოსოფია საზღვარ-გარეთელი ბიუროსი.

აქ ყურადღებას იპყრობს ერთი მომენტი, რატომ მთიელებს ავალებს ნ. ჟორდანია აჯანყების დაწყებას? ნუ თუ ისინი სულელები ჰგონია?

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. განვიხილოთ საკითხი არსებითად.

აჯანყება..., ინტერვენცია... როგორ მოგწონს, მკითხველო, არის ამაში რამე სოც. დემოკრატიული?..

როდის იყო სოც. დემოკრატია ამ მეთოდით რომ ებრძოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს?—არასოდეს.

ესეც რომ არ იყოს იმპერიალისტური ინტერვენციის მომხრე ხალხს შეუძლია სოციალისტობაზე ილაპარაკოს?

ჩვენ ვამტკიცებთ და ეს გასაგებია ყველა მშრომელისათვის, რომ მენშევიკურმა პარტიამ დაჰკარგა თავისი სახე, თავისი თავი და ის უკვე ავანტიურისაკენ მოუწოდებს ხალხს. ეს არის ცეცხლთან თამაში და ვისაც ეს არ ესმის, მას არაფერი არ ესმის დღევანდელი ვითარების, ან და ოღონდ თვითონ მოექცეს ხელისუფლებას სათავეში და მთელი ერის განადგურებაზე ხელს ბოაწერს.

დღეს საქართველოში არ მოიპოვება ისეთი კაცი, გარდა ორიოდე გამოტვინებული მენშევიკისა და მათი მონათესავე ხალხისა, რომელსაც მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არ ჰქონდეს გათვალისწინებული ის უბედურება, ის საშინელება, რომელიც თავს დაატყდება ქართველ ხალხს, რომ ნ. ჟორდანიას გეგმა განხორციელდეს და აჯანყება-ინტერვენცია მოხერხდეს.

ნუ თუ სერიოზულად ფიქრობენ ამაზე?

ეს არის სერიოზული სისულელე, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ამის შემდეგ მაინც სავსებით ჩამოშორდებიან ცეკას ის პირნი, რომელნიც ჯერ-კიდევ რეალობაში იყვნენ და ცალი თვალით „მათკენ“ იყურებოდნენ.

ამ თავისი წერილით ნ. ჟორდანიამ დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას. ამის შემდეგ უფრო განმტკიცდება და გამაგრდება ამ ხელისუფლების რიგები.

ჩვენ ხალხს სწყურია მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა, მას ეს მშვიდობიანობა მოპოებული აქვს და ვინც მოინდომებს ამ მშვიდობიანობის დარღვევას, მას დაატყდება ხალხის რისხვა მთელი თავისი სისასტიკით.

ეს კარგად დაიმახსოვროს ყველამ.

განწირულთა თავგასულობა

აღსრულდა!

ის რაც არ სწამდათ ურწმუნო თომებს, ის, რაც არ სჯეროდათ იმათ, ვინც ბრმა გატაცებით თაყვანს სცემდა საზღვარ-გარეთ გადახვეწილ ბელადებს დღეს ფაქტია, ფაქტი უტყუარი, ნოე ჟორდანიას ხელით დაწერილი.

არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს მოუვიდა დირექტივები საზღვარ-გარეთელ ემიგრაციიდან საქართველოში და ამიერკავკასიაში შეიარაღებული აჯანყებების მოწყობის შესახებ. და თუ დღემდე არალეგალური ცენტრალური კომიტეტი ცივ უარზე იდგა, ასეთის ავანტიურისტულ გზას და ბრძოლის მეთოდს თითქოს უარყოფდა, დღეს აშკარაა, ცხადია, რომ ეს გზა შეიარაღებული ბრძოლისა იყო და არის ბრძოლის ტაქტიკა, მაშასადამე მთელი პარტიისათვის სავალდებულო. თუ არალეგალური ცეკა უარყოფს ამ ტაქტიკას, მაშინ ის ვალდებულია გამოვიდეს ცალკე მანიფესტით მუშებისადმი და სთქვას: ჰო, ვერ ვურიგდები არსებულ წყობილებას, მაგრამ ბრძოლის ასეთი მეთოდი, შეიარაღებული გამოსვლა, მიუღებელია, ყოვლად შეუწყნარებელია, ვგმობ მას ერთხელ და სამუდამოთ...

ამას მოვთხოვთ ჩვენ არალეგალურ ცეკას, ვალდებულია ის გამოვიდეს ასეთი მანიფესტით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება ვითომდა მუშათა ინტერესების დამცველი, მას არ ექნება უფლება ატაროს ის სახელი, რომელსაც ის ატარებს ჯერ კიდევ ბევრის თვალში.

რა ბრძანა საზღვარ-გარეთელ ემიგრაციამ, როგორი გზები უჩვენა მან საქართველოს **მუშებს** „თავის დასახსნელათ?“ თუნდაც მთელს ქართველს ერს?

უპირველესათ ყოვლისა შეიარაღებული აჯანყება ნაკარნახევია, ეს გზა ნაჩვენებია აბსოლიუტურათ, გადაჭრით. ორი შესაძლებლობა არის საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ პერსპექტივაში: ერთი-რუსეთის კრიზისი, მდგომარეობის გართულება, არსებული სისტემის დაავადება და მზათ ყოფნა განსაზღვრული კრიზისის დროს ძალა-უფლების ჩამორთმევისათვის. მეორე გზა—შეიარაღებული აჯანყებისა და იარაღით ხელში ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. აი ის ორი გზა, რომელსაც უკარნახებს საზღვარგარეთელი ემიგრაციის ბელადი ნოე ჟორდანია საქართველოს სოციალ-დემოკრატიას.

გავარჩიოთ ეს ორი გზა.

პირველი გზა ნიშნავს მოცდას, უნდა უცადო როდის დადგება ეს კრიზისი. ის უნდა დადგეს, ალბათ, თავისთავად, ბუნებრივათ. მაგრამ ჟორდანიამ იცის, რომ ეს არის ევოლიუციის, თავისებური ევოლიუციის, ამ შემთხვევაში წმინდა რეაქციონური ევოლიუციის გზა. ამას კი დრო სჭირდება. საჭიროა დაჩქარება, დაჩქარება შეიძლება ხელოვნური ზომებით. დღეს ებრძვის ერთმანეთს ორი ქვეყანა საბჭოთა ქვეყანა და კაპიტალისტური ქვეყანა. მუშათა ცდა საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნის და შრომის განთავისუფლებისა და კაპიტალი, მუშების ექსპროპრიატორი და შრომის დამმონავებელი. **იმის და მიუხედავათ, კარგია თუ ცუდი მუშების ცდა ყოველი სოციალისტი ვალდებულია იყოს მუშებთან მაშინაც კი, როცა სცდებიან ეს მუშები საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნის ცდებში.** ნიშნის გებით განზე დგომა, პილატესავით ხელის ბანა, ხელის შეშლაც და კავშირი ანტიმუშური საქმიანობა ბურჟუაზიასთან არის მიუტოვებელი დანაშაული მუშათა კლასის წინაშე. **არ არის ის სოციალისტი, ვინც უკავშირდება ბურჟუაზიას მუშათა კლასის წინაალმდეგ, არ არის ის რევოლიუციონერი, ვინც უკავშირდება კაპიტალს რევოლიუციის საწინააღმდეგოთ.** ერთის შეხედვით ეს ანაბანა უნდა იყოს დღეს რევოლიუციის მეშვიდე წელს, თვით რევოლიუციის პირველ წელსვე დაბადებულ ბავშვებისათვისაც კი. მაგრამ ეს სრულიად გაუგებარი თურმე დარჩა ქართველ მენშევიკებისათვის. **ქართული მენშევიზმი დღეს დგას საერთაშორისო ბურჟუაზიასთან შეკავშირერების ნიადაგზე რევოლიუციის საწინააღმდეგოთ და ამიტომ ის გახდა კონტრ-რევოლიუციონურ ძალათ.** მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა და ამიტომ უნდა მოხდეს ისიც, რასაც დღეს თითქმის ყველა მოელის: მენშევიზმი, ამ სამი უკანასკნელი წლის მენშევიზმი საქართველოში უნდა მოკვდეს, როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალა. სხვა გამოსავალი მას არა აქვს. ყველაფერი, რაც კიდევ გულწრფელია და მუშური იმ პარტიაში უნდა გამოვიდეს გარეთ. პარტიამ დაკარგა მუშური გზა, პარტიას უნდა ჩამოშორდენ მუშები. პარტიის შინაარსი გაივსო კონტრევოლიუციონურობით, პარტიამ დაკარგა უფლება შრომის დროშის ქვეშ დგომისა.

და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ამას, სახეში არა გვაქვს აგიტაცია, სააგიტაციოთ ჩვენ სხვა სიტყვებს მოვნახავდით. აქ ყოველი სიტყვა რეალობაა, ამას ჩვენ ვიგრძნობთ, ჩვენ ძველი რევოლიუციონერები, ძველი მენშევიკები, ძველმეამბოხენი. რა მოხდა, რა დაემართა ჩვენს ყოფილს ამხანაგებს, რომ ასე უნიღაბოთ, ასე აშკარათ, ასე გადაჭრით შეკრეს კავშირი საერთაშორისო ბურჟუაზიასთან საერთაშორისო რევოლიუციის წინააღმდეგ?..

მაგრამ ეს ნიღაბის მოხსნა კარგია, მოიხსნეს ნიღაბი და ჩვენ მივიღეთ მეორე გზა, გზა ავანტიურისა, გზა სისხლიანი და სამარცხვინო.

ეს გზაა შეიარაღებული აჯანყება და იმპერიალისტური ინტერვენცია საქართველოს საქმეში.

ნოე ჟორდანიასათვის ეს მეორე გზა უფრო მისაღები ყოფილა. მაგრამ როგორ ისახავს ის ამ გზით მიზნის მიღწევას? უნდა მოეწყოს აჯანყება ამიერ-კავკასიის და მთიულეთის მასშტაბით. სომხეთი არ გამოდგებაო, უიმედოაო. აზერბეიჯანიც არაა საიმედო, მაგრამ მისი გლეხობის გამოყენება შეიძლება როგორც ბრმა მასალისო. ამისათვის იქ საჭიროა ცენტრის დაარსებაო. აჯანყების სიმძიმის ცენტრი უნდა მთიულეთში გადავიტანოთო. მთიულებმა უნდა ითავონ, მათ უნდა ეკუთვნოდეს აჯანყების ინიციატივა და როცა ისინი აჯანყდებიან, გზებს გადასჭრიან რუსეთისაკენ, მაშინ გამოვა საქართველო და დაამთავრებს საქმესო.

არ გაგონებთ თქვენ ეს გეგმა ფარნაოზ ბატონიშვილის გეგმას? **არ არის ეს წმინდა წყლის ფეოდალური გეგმა?** სადაც საქართველო ცენტრია და სხვა ყველაფერი „სხვათა შორის“ არის? ეს ანალოგია სასაცილოთ ან აბუჩად ასაგდებათ არ მოგვიყვანია. არა! ლოღიკურია ანალოგია, ვინაიდან არალეგალური ცენტრალური კომიტეტი თავის გამოსავალში ფეოდალებს უნდა დაეყრდნოს უმთავრესათ.

გავარჩიოთ ეს გზა.

ამ გზის იდეოლოგიას ის უდევს სარჩულათ, რომ ბოლშევიკები ძალით შემოიჭრენ საქართველოში. ამას ჩვენც ვამბობდით უწინ. ახლა კი არალეგალური ცეკა ნაციონალ-დემოკრატებთან გაერთიანებული ამბობს: რის ბოლშევიკები, სადაური ბოლშევიკები. რუსები შემოიჭრენ და ჩვენ რუსებს ვებრძვითო. ვეშაპელებსაც მეტი რა უნდათ? ისინი ხომ რუსი ჭამიები არიან. ძალით შემოვიდენ—ძალით

გავრეკოთო... მაგრამ იციან, რომ მარტო საქართველოს არა აქვს საამისო ძალა. საჭიროა მოკავშირე, ვინ სად უნდა ვეძიოთ? მეზობელ ქვეყნებში. ვინ უნდა იყოს ის გამბედავი თაგვი, რომელიც პირველი გაბედავს შეაბას ეკვანი კატას? ესენი მთიელი ხალხები უნდა იყვენ. ამ მოკავშირეებს, აღსანიშნავია, არც კი ენდობა ნოე ჟორდანია. მათი გამოყენება უნდა მხოლოთ. ისტორია მეორდება. იმპერატრიცა ეკატერინემ გამოგზავნილ რუსის ჯარის სარდალს საქართველოში ასეთი დირექტივი მოსწერა: იმოქმედე ისე, რომ სული იყოს რუსული, ხორცი კი ქართველთაო. ჟორდანია იმეორებს ამ „ველიკოდერჟავნიკების“ პოლიტიკას: ის სწერს არალეგალურ ცეკას: იმოქმედე ისე, რომ სული იყოს შენი, ხოლო ხორცი მთიელ-დაღესტნელებისაო. ალბათ იმიტომ, რომ ვაი თუ დამარცხდეს გამოსვლა მაშინ პასუხს აგებს მთა, საქართველო და არალეგალური ცეკა განზე გადგება, პოლატესავით ხელს დაიბანს და იტყვის: აი, აი, რა ცუდი საქმე ჩაიდინესო...

ახ, რა საშინელებაა ასეთი პოლიტიკა! რა საშინელებაა, რა ღალატია მეზობელ ერებისადმი! თუნდაც გაიმარჯვოს ასეთმა პოლიტიკამ, არასოდეს არ აპატიებდენ საქართველოს მეზობელი ერები ასეთ გამცემლობას და იუდურ პოლიტიკას... არასოდეს... მართალია, პოლიტიკამ არ იცის მორალი, ზნეობა, მაგრამ **სოციალისტი ვერ დაღუპავს ერთ ერს მეორე ერისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ არის სოციალისტი...**

მერე რა უნდა მომხდარიყო? რუსეთი ხომ ვერ დასთმობდა ამას? რუსეთი ხომ წამოვიდოდა მდგომარეობის აღსადგენათ? აქ კი საჭიროა რეზერვი, ზურგს უკან დასაყრდნობი ძალა, ეს ძალაა ევროპის იმპერიალიზმი. სიტყვა სიტყვით შემდეგს ამბობს დირექტივა: მხოლოდ აჯანყების შემთხვევაში ამიერკავკასიის მასშტაბით „მოგაქცევთ თქვენ სერიოზულ ყურადღებას და აღმოგიჩენთ დახმარებას ევროპა“-ო,

ეს არის ევროპის იმპერიალიზმის ჩათრევა საზღვარ-გარეთელ ემიგრაციის მიერ რუსეთ-საქართველოს რევოლიუციის საქმეში. ეს არის ორიენტაცია ევროპის ბურჟუაზიაზე რუსეთისა და საქართველოს მუშების წინააღმდეგ, ეს არის კაპიტალის მოწვევა შრომის საეკსპლოატაციოთ. ამიტომ ეს არის აშკარა კონტრევოლიუციონური გზა. ეს არის ნოე ჟორდანიას მიერ მის მიერვე ნაკარნახევი მარქსიზმის უარყოფა. ეს არის საზღვარგარეთელ ემიგრაციის მიერ ღალატი არა მარტო რევოლიუციისა, არა! ეს არის ღალატი მთელი ქართველი ერისა. ამ შემთხვევაში საქართველო გახდებოდა ორი ფრონტის სათარეშო ასპარეზათ: სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტურ-საბჭოთა ქვეყნების ომებისა. ორივე შემთხვევაში სისხლში ჩაიხრჩობოდა საქართველო. და ვის უნდა ეს? ეის უნდა ჩვენი ერის სისხლში ჩაღრჩობა.

რა ავთმყოფური ფანტაზიის ნაყოფია ასეთი პოლიტიკა. ეს არის თავზე ხელ აღებულთა, განწირულთა პოლიტიკა. ეს არის განწირულთა თავ-გასულობა, რომელსაც ზურგი უნდა შეაქციოს არამც თუ ქართველმა მუშამ და გლეხმა, არამედ ყოველმა საღათ მოაზროვნე ქართველმა...

არიან თავგანწირულნი, რომელთაც მობეზრდათ სიცოცხლე? არიან ასეთნი? — წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში მათი თავი... საბჭოთა ხელისუფლებას არ გამოუცია ჯერ დეკრეტი თვითმკვლელობის აკრძალვის შესახებ. მაგრამ ერს ნუ გამოიყენებენ თავიანთი ავთმყოფური ფანტაზიებისათვის. შესდგენ, კმარა!

არ მივსცემთ ნებას სისხლით მორწყონ ჩვენი ქვეყანა პორთფელების დასაბრუნებლათ!

არ მივსცემთ ნებას თავისი ჟინის დასაკმაყოფილებლათ თავხედობისა და თავ-გასულობისას!

შესდგენ, კმარა!

კიდევ ფულის რეფორმის შესახებ

სულ რაღაც ორი თვე ნახევარია, რაც ჩვენში დაიწყო ფულის რეფორმის გატარება, ამ ორ ნახევარ თვის განმავლობაში მტერიც და მოყვარეც აშკარად დარწმუნდა იმაში, რომ ეს რეფორმა არ არის უდღეური და ეკონომიურ ბაზას მოკლებული.

მართალია, რეფორმის პირველ დღეებში და მის წინათ ბევრი გაიძახოდა ამ ფულის რეფორმის აშკარა დამარცხებაზე, ბევრს არ სწამდა ამ ღონისძიების ეკონომიური დადებითი ღირებულება საბჭოთა მეურნეობის პირობებში, მაგრამ ყველა ისინი სასტიკად მოტყუებულნი დარჩნენ.

დღეს უკვე იშვიათად მოიძებნება ჩვენში ისეთი კაცი, რომელსაც არ ეგემოს ფულის რეფორმის მიერ მონიჭებული სიტკბობა და მას დიდის ყურადღებით და ინტერესით არ ეპყრობოდეს.

თვით შავი ბირჟა აშკარად ამტკიცებს იმ გადატეხას, რომელიც მოახდინა ფულის რეფორმის წარმატებით მსვლელობამ იმათზე, ვისაც არ ჯეროდა ამ რეფორმის და ვინც გაიძახოდა: ნაზარეთიდან კარგი არა გამოვა რარ, ვისაც არ სწამდა ბოლშევიკების მომავალი და საქმიანობა. რეფორმის დაწყებისას ნიკოლოზის დროინდელი ოქრო ათ მანეთამდე დაეცა; რეფორმის დაწყებიდან 15-20 დღის შემდეგ დაიწყო კვლავ აწევა და 14 მანეთამდე ავიდა ოქროს ათ მანეთიანი. ეს იყო იმ ცრუ ხმების შედეგი, რომელსაც ავრცელებდნენ ფულის რეფორმის ირგვლივ.

ბევრ გულუბრყვილოს ეგონა, რომ ჩერვონეცის და სახაზინო ბილეთების კურსი დაიწყებოდა დაცემას და ფიქრობდა არალეგალურ ვალიუტაზე—ოქროზე გადაეყვანა თავისი ავლა-დიდება, 'მაგრამ მოსტყუვდნენ. ფულის რეფორმა თან და თან განმტკიცდა და დღეს უკვე ძველი ოქროს ათ მანეთიანი თან და თან იწევს და ჯერ-ჯერობით ის უკვე დავიდა 9 მ. 50 კ. შავ ბირჟაზე. დაწევის ტენდენცია გრძელდება.

ამ რიგად ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ფულის რეფორმა ცხოვრების მიერ სავსებით მიღებული და გამართლებულია. ცხადია, რომ ფულის რეფორმის წარმატებით გატარებას მეტად ხელს უწყობს ბიუჯეტის უდეფიციტობა, რომლისაკენ მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების მთელი გულის ყური.

კერძოდ საქართველოს ბიუჯეტი გადაკვანძულია საერთო საბჭოთა კავშირის ბიუჯეტთან, ის უკვე გაერთიანებულია. ასე რომ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული ჩვენი ფულის კურსის სიმაგრე.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საბჭოთა კავშირის მეურნეობას, დავინახავთ, რომ ის აღორძინების გზაზეა შემდგარი და თან და თან გაუმჯობესებისაკენ მიდის. 1923-24 წ. ბიუჯეტში მრეწველობა უკვე შევიდა, როგორც შემოსავლის წყარო. მრეწველობის გადაქცევა შემოსავლის წყაროდ ეს დიდი, ძალიან დიდი საქმეა. სანამ ის ასეთ მდგომარეობაში გადავიდოდა, სახელმწიფოს უნდებოდა დიდი დახმარების მიცემა მისთვის და, რასაკვირველია, ეს ადიდებდა ბიუჯეტის დეფიციტს.

მეტად მძიმე ტვირთად აწვა საბჭოთა კავშირის ბიუჯეტს აგრეთვე ტრანსპორტი, რომელსაც სახელმწიფომ დახმარების სახით 1922-23 წ. მისცა 140 მილ. მან., ხოლო 1923-24 წ. მხოლოდ 40 მილ. მან. უკანასკნელ ხანებში პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ მეოთხე საბიუჯეტო კვარტალში ტრანსპორტი ხაზინას მისცემს 5 მილ. ძან. მოგებასო. ეს თავისთავად დიდი პლიუსია და მეტად ხელს შეუწყობს ბიუჯეტის უდეფიციტობას. ყველა ის თანხები, რომელიც წინეთ მიდიოდა მრეწველობის და ტრანსპორტის დასახმარებლად, ამიერიდან შეიძლება მოხმარდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებს. ეს გარემოება საშუალებას იძლევა კულტურულ ფრონტზე მომუშავეებისათვის ხელფასის გადიდებისა. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ეს გადიდება დღის წესრიგშია დასმული და დღეს თუ ხვალ ჩვენი მასწავლებელი მიიღებს გადიდებულ ხელფასს.

და აი როგორც რეფორმის უახლოესი და უძვირფასესი შედეგი ჩვენ მივიღეთ ბონების სიკვდილი, მოსპობა, უკვე წარსულს ჩაბარდა მილიარდები და მილიონები. არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენ ამ მილიარდებით ვანგარიშობდით, მაგრამ ამ ორ-ნახევარ თვის განმავლობაში მტკიცე ფულის ხელში დაჭერამ ჩვენ თითქმის გადაგვაჩვია ამ მილიარდებიდან და კვლავ კაპიკობით ვანგარიშობთ.

სოფლის და ქალაქის მშრომელები უკვე სავსებით შეეჩვიენ ამ ახალ ფულებს და თავიანთ სამეურნეო გეგმებს და ანგარიშებს მტკიცე ფულზე ანგარიშობენ სავსებით შეგნებულად და მიზანშეწონილად.

ფულის რეფორმის წარმატებით მსვლელობამ ცვლილებები შეიტანა გაუმჯობესების მხრივ არა მარტო სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაში, არამედ თითეული მშრომელის მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესა. ბაზარზე უკვე დამყარებულია მტკიცე ფასები ფართო მოხმარების საგნებზე და მუშას და გლეხს არ უხდება იმ საქონლის ყიდვა, რომლის ყიდვა მას არ სურდა. მაგრამ ბონი, რომ ხელიდან გაეშვა, იძულებული იყო ეყიდა.

განსაკუთრებით ფულის რეფორმისაგან იგრძნო შვება სოფლის მშრომელმა, ქალაქში არსებობდენ შემნახველი კასები, რომლის საშუალებით შეეძლო ქალაქის მუშას თავისი

ხელფასი დაეცვა ნაწილობრივ მაინც განფასებისაგან. სოფელში არავითარი ამის მსგავსი არ არსებობდა. იქ კვირაში ერთხელ ახერხებდა გლეხი ნაშოვნი ფულის დახარჯვას, რადგან საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მხოლოდ კვირაში ერთხელ იციან ბაზრობა. ასე რომ სოფლის მშრომელი პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბონების მოსპობამ ის იხსნა ამ აუტანელი მდგომარეობიდან და მან თავისუფლად ამოისუნთქა.

ამრიგად ბონების სიკვდილმა და მტკიცე ფულის შემოღებამ ასწია მრეწველობის პროდუკტივობა, ვაჭრობაში დაამყარა ნორმალობა, „მაკრატლის“ პირები საგრძნობლად დაუახლოვა ერთმანეთს, გაუმჯობესდა საერთოდ სახელმწიფოს კეთილდღეობა და კერძოდ თითეული მოქალაქის.

ფულის რეფორმა გამართლებულია. რომ ის საბოლოოდ დაგვირგვინდეს, საჭიროა აღებული ეკონომიური და საერთო მომჭირნეობის გეზის ურყევად და მტკიცედ გაგრძელება.

გ. ვ—იანი.

მოდიან, მოიმღერიან

„Пусть сильнее грянет буря“...

Максим Горький.

თმა-ხუჭუჭა ძალა მოდის თმა ჭაღარა ძალის შესაცვლელათ. მოდის ახალი თაობა და იკავებს ძველი თაობის ადგილს. შვილები გვერდით უდგებიან მამებს...

კომკავშირმა უნდა შესცვალოს ძველი გვარდია, ძველი არმია რევოლიუციისა.

ეს მუდამ ასე იყო საზოგადოებათა ისტორიაში: ბერდებოდა, დროს მოსჭამდა ერთი თაობა, მამები, მოდიოდა მეორე თაობა, სიცოცხლით სავსე შვილები. მაგრამ ეს ცვლა თაობათა, ეს ადგილთა დაკავება და მიტოვება ხდებოდა მუდამ და ყოველთვის ბრძოლით. თვით ერთი და იმავე სოციალური ჯგუფის, თუნდაც კლასის, ფარგლებში თაობათა ცვლა არასოდეს არა ხდებოდა უმტკივნეულოთ. მუდამ ნერვების დაჭიმვით და შეტაკებებით იშლებოდენ ახალ-ახალი ფურცლები კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ეს აიხსნებოდა ერთი ფრიად საინტერესო მოვლენით: ეკონომიური სისტემის განვითარება და ცვლა მუდამ წინ უსწრებს ფსიქოლოგიურ განცდების ცვლას. ამით აიხსნებოდა მუდამ და ყოველთვის მამათა და შვილთა ბრძოლა, მათი ჭიდილი.

მაგრამ რევოლიუცია არ ემორჩილება „საკალდებულო“ ნორმებს. ლოგიკის კანონებსაც ანგრევს რევოლიუცია. გასაოცარი ნიუანსები, ხვეულები იცის მან.

ახალგაზდა კომკავშირი რევოლიუციის შვილია, მან უნდა შესცვალოს ძველი რევოლიუციონერთა რიგები. რევოლიუციის შვილებმა უნდა დაიკავონ რევოლიუციის მამების ადგილი და გააგრძელონ მათი საქმე. და ეს ცვლა თაობათა ხდება უმტკივნეულოთ, ბრძოლას არა აქვს ადგილი. მამები ღიმილით ხვდებიან შვილებს, შვილები ანთებული თვალებით დგებიან მამათა რიგებში.

მაგრამ ეს განსხვავება ძველ და ახალ თაობათა ცვლებისა არ არის ახალგაზდათა დამსახურება. უპირველესათ ყოვლისა ეს რევოლიუციის დახასიათებაა. ეს ახალი ქვეყნის გარდაუვალი ყოფნისა და აუცილებლობის დამტკიცებაა. ამ მხრივ საინტერესოა შევადაროთ ძველათ ჩვენი მუშაობა ახალგაზდებში და ახლა ბოლშევიკების მუშაობა ახალგაზდებში,

ჩვენც გვყანდენ ახალგაზდა მარქსისტები, ჩვენს დროშიც იყო ახალგაზდებში „მუშაობა“ მაგრამ ვაი ამ მუშაობას. საკვირველია, საოცარია, თუ როგორ ვეპყრობოდით ჩვენ მათ, ვისთვისაც უნდა გადაგვეცა გამაგრებული პოზიციები, რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება და მარქსიზმის დროშა. ახალგაზდებში არ იყო სისტემატიური მუშაობა, მოწინავე ამხანაგების გუნებაზე იყო დამოკიდებული წავიდოდა ის ლექციის წასაკითხათ ახალგაზდებთან თუ არა. მრავალზე მრავალს შემთხვევებს ჩამოვსთვლიდით, როცა ახალგაზდებს უცდიათ და ლექტორის მოუსვლელობის გამო დაშლილან. ერთ ერთ ქალაქში (ეს ფაქტია) ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციამ მოისურვა საკუთარი ჟურნალის გამოცემა, საჭირო თანხა ბავშვებს, რასაკვირველია, არა ქონდათ. მიმართეს ქალაქის თვითმმართველობას, უარი სტკიცეს. ქალაქის გამგეობაში კი სულ სოციალ-დემოკრატები იყვენ. მიმართეს პროფკავშირთა ბიუროს, იქ უთხრეს: ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს ფულს არ ვაძლევთო... ასეთი იყო ჩვენი მოპყრობა ჩვენივე ახალგაზდა ძალებისადმი. მხოლოთ ახალგაზდათა უნარით და მეცადინეობით აიხსნება, თუ რამე გააკეთეს მათ.

სულ სხვაა დღეს მდგომარეობა. მამათა პარტია ყოველგვარ დახმარებას უწევს ახალგაზდათა კავშირს მატერიალურიდან დაწყებული ინტელექტუალურამდე. ამ მხრივ ფსიქოლოგიურ ურთიერთობას, მამათა ამხანაგობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ახალგაზდებში ღრმათაა გამჯდარი ის აზრი, რომ ისინი არიან ახალი ქვეყნის მომავალი ბურჯნი და დამცველნი, რომ მათ დიდი პასუხისმგებლობა აწევთ კისერზე. მაგრამ ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის მარტო სურვილი არა კმარა, საჭიროა მარქსიზმის დაწვრილებით შესწავლა. ესეც ხდება კომკავშირში. ამასაც არა აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა. შეიძლება თეორია შეისწავლო, მაგრამ პრაქტიკისაგან შორს იდგე და ცხოვრებაში ვერ გამოდგე. ამიტომ პარტიას ჩაბმული ყავს ახალგაზდები პრაქტიკულს მუშაობაში. რევოლიუციონური თეორია და პრაქტიკა ერთად შეზავებული ის დიდი ძალაა, რომელსაც ვერ გასტეხს წელში ვერავითარი კონტრ-რევოლიუცია...

რევოლიუციონური იდეების ფართე მასებში გატანა ახალგაზდობას უფრო ეხერხება ლეგალურ ხანაში. ის უფრო მოძრავია, მეტი სიცოცხლისა და ხალისის მატარებელი, მეტი მომქმედი. ეს თვისებაა ახალგაზდობის. გარდა ამისა კომკავშირი კასტა არაა, მისი კარები ღიაა არა მარტო ქარხნებში მომუშავე ახალგაზდობისათვის ანუ მუშათა წრეებიდან გამოსულთათვის, კომუნისტური პარტიის მე-XIII-ტე ყრილობამ ფართედ გაუღო კომკავშირის კარები წვრილ მესაკუთრეთა გლეხობის შვილებსაც. ეს დიდი ტაქტიკური ნაბიჯია. ციხე შიგნიდან გატყდებაო ამბობს ქართული ანდაზა. რომ მესაკუთრული ინსტიკტები დაიმსხვრეს, წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხური სულისკვეთება ჩაბარდეს ისტორიას საჭიროა მას ღრღნიდეს სიკვდილის ჭია მისავე საკუთარ სხეულში, საჭიროა ცეცხლის მომკიდებელი ძველი ყოფის დასაწველათ ძველს ოჯახშივე. ასეთის როლს შეასრულებს და კიდევაც ასრულებს ახალგაზდა პიონერი, ან კომკავშირის წევრი.

კომკავშირის ბევრი დამახასიათებელ მნიშვნელობათა შორის არის ერთი რამ, რომელიც მისი კუთვნილებაა, რომლითაც მაგარია ის, როგორც სოციალისტური ორგანიზაცია. ეს არის მისი ინტერნაციონალიზმი. ამ მხრივ ის პირმშო შვილია მესამე ინტერნაციონალის. ამ მხრივ დიდათ განსხვავდება ის ჩვენი ყოფილი ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციისაგან. ჩვენში იყო ნაციონალიზმის კულტივიზაცია, ეროვნულს სულისკვეთებას და მის გაღრმავებას დიდი ადგილი ქონდა დათმობილი. სიტყვა ქართველი, ქართული ზმნასავით იხრებოდა ყოველ დროში და პირში. ამან დაბადა საშიში მდგომარეობა, რომელსაც მაშინ ყურადღება არ მივაქციეთ და რომელმაც ახლა საშინელი ნაყოფი მოგვცა: „მარქსისტულათ“ აღზრდილი ახალგაზდა იდეალისტურათ აზროვნობს, საშინელი შოვინიზმით გაჟღენთილია, ერის იქით არას ხედავს, კერპთაყვანისმცემლობამდე მისულა და ჭირივით სძულს ყოველი არა ქართველი ამიერ კავკასიაში მცხოვრები. სდევნის რუსს, სომეხს, ოსს.

ამიერ-კავკასიის კომკავშირთა მესამე ყრილობა კი მიდის სრულიათ მოპირდაპირე გზით. იქ არ ტრიალებს შოვინისტური სული, იქ ქართველიც და რუსიც, თათარიც და სომეხიც მხოლოთ და მხოლოთ მშენებლები და მჭედელნი არიან ახალი ქვეყნისა და ახალი ცხოვრების. „სამშობლო“ არ იღრიჭება ყველის ვაჭარივით და არ შხამავს გონებას. სამშობლო არ გადაქცეულა ეგვიპტელთა კერპათ, რომელსაც ცოცხალ ადამიანებს სწირავდენ მსხვერპლათ, ეს სამშობლო არ აბრმავებს მათ, მისდამი სიყვარული არ

დაგს უკლასო საზოგადოებისთვის, ვინც თავისი ერის საზღვრებს იქით ხედავს მასავით მებრძოლში არა მტერს და ორგულს, არამედ მომძეს და ამახანგს...

კიდევ ერთი დამახასიათებელი მხარე კომკავშირისა. აქ ქალები და ვაჟები ერთად არიან. ერთად ერთ უღელში შებმულნი. თანდათანობით ინგრევა კედელი სქესთა შორის მხეცური დამოკიდებულებისა. ყოველდღიური ურთიერთობა, წმინდა ადამიანური და ამხანაგური დამოკიდებულება კლავს იმ ყოვლად მიუღებელ აზრს, რომელიც ქალის სიწმინდეს ქალის კაბაში ხედავს. აქ იზრდება მომავალი ქალ-ადამიანი, კვდება თანდათანობით საშინელი კონსერვატიული ძალა: ქალი-ძუ, ქალი ლოგინის ბალიში, ქალი ბუდუარის ტიკინა. ახალი ყოფა ცხოვრების შექმნაში, ამ მხრივ, გადამწყვეტს როლს ითამაშებს კომკავშირელი ქალი. ეს კი დიდი, ძალიან დიდი დამსახურება იქნება მისი და, საერთოდ კომკავშირისა.

მაგრამ მარტო სულიერათ, გონებრივათ გაწრთვნა და გაჯანსაღება არა კმარა მებრძოლთათვის. საჭიროა ჯანსაღი გონება ჯანსაღ ორგანიზმში. ამ მხრივ დიდი ფიზიკური მუშაობა ფიზიკური კულტურისათვის უტყუარი თავდებია იმისა, რომ დასრულებულს მებრძოლს მოგვცემს კომკავშირი, გაკაჟებულს, დაცდილს მებრძოლს.

ამიტომ ვესალმებით დღეს ჩვენ ამიერ-კავკასიის ახალგაზდა კომკავშირთა მესამე ყრილობას და ვუსურვებთ მას ჩვენ მიერ აქამდე მოტანილი ბრძოლის და თავისუფლების დროშა ღირსეულათ ჩამოგვართვან ღირსეული მომავლისათვის.

ამიტომ ვესალმებით დღეს ჩვენ თმა-ჭაღარანი თმა ხუჭუჭ ძალებს.

და როდესაც ვხედავთ, რომ ისინი მოდიან, მოიმღერიან, სიხარულით ივსება ჩვენი გული და ვამბობთ:

— გაუმარჯოს ჩვენს შვილებს, ჩვენს შემცველელ ძალას და წითელ დროშას მისს ხელში!..

ბარელი.

მ ა ხ ვ ი ლ ი.

არ შედრკეს ხელი! გაცივდეს გული და სიბრალული მოჰკალ მკერდს ქვეშე!
ჩაჰკარ მახვილი, მოატრიალე, არ შეიცოდო, აკვნეს-ახვნეშე! —
რომ გაიმარჯვოს დაგჭამს კბილებით,
დაგიგლეჯს სხეულს, დაგკლავს შვილებით...
თმით ჩამოკიდე! ცეცხლი შეუნთე, მისივე სისხლში აბანე პირი,
ასათ მიუზღე წასრულის ტანჯვა, შეურაცყოფა, ცრემლი და ჭირი! —
ცოლს გიბოზებდა, გიყიდდა შვილსა...
მაშ, ღრმათ მახვილი! ხელი მახვილსა!..

ლიდიანი.

არც ისეა საქმე

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ზოგიერთ კუთხეებში ადგილი აქვს მოუსავლობას. კერძოთ საქართველოში ასეთი მდგომარეობაა: მხოლოთ ახალციხეში გვაქვს ზამთრის ნათესებზე ბალი 3,7, გაზაფხულის ნათესებზე ამავე მაზრაში გვაქვს 2,8. ახალი ქალაქის მაზრაში გვაქვს 2,8.

რაც შეეხება დანარჩენ რაიონებს (სამეგრელო, გურია, იმერეთი), აქ ჩვენ გვაქვს 1 და 2. კახეთი იძლევა 2, ქართლი 1,5.

ამნაირად ნათესების მდგომარეობა მეტის მეტად ცუდია.

აშკარაა პურის დეფიციტი მომავალ წელს გვექნება გაცილებით მეტი, ვიდრე წელს გვქონდა.

საერთოდ ამიერ-კავკასიაში პურის დეფიციტი თეორეტიულად უდრიდა ამ წელს $3^1/_2$ მილ. ფუთს. ფაქტიურად 1,5 მილ.—2 მილიონი სრულიად საკმარისი დარჩა.

მომავალ სამეურნეო წელს ჩვენი დეფიციტი (ფაქტიური) იქნება დიდი-დიდი 3 მილიონი ფუთი.

არის შესაძლებლობა ამ დეფიციტის შესავსებათ?

საიდან უნდა მივიღოთ ეს დანაკლისი?

საერთოდ ამიერ-კავკასიას პურით მუდამ კვებავდა რუსეთი.

ამ წელს ჩვენ მივიღეთ რამდენიმე ათეული მილიონი ფუთი პური რუსეთიდან.

მომავალ წელსაც ამ დეფიციტის შევსებას ჩვენ ველოდებით რუსეთიდან.

მაგრამ არის იმედი, რომ რუსეთიდან მივიღებთ ამ რაოდენობას?

რუსეთის ზოგიერთ კუთხეებშიაც აქვს ადგილი მოუსავლობას.

მაგალ., ასტრახანის, ცარიცინის და ნაწილობრივ სამარის და სარატოვის გუბერნიებში ცუდი პირი აქვს მოსავალს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილშიაც აქვს ნაკლები პირი მოსავალს, მაგალ., ვორონეჟის, ტამბოვის, პენზას და კურსკის გუბერნიებში.

მაგრამ ამავე დროს მეტად კარგი პირი უჭრანს მოსავალს ციმბირში და თურქესტანში, დამაკმაყოფილებელია უკრაინაში, ყუბანში და შავი მიწის ფარგლებში (черноземная полоса). გარდა ამისა ამ წელს ნათესების არე შარშანდელთან შედარებით 10,6% მეტია — ოფიციალურად. ფაქტიურად კიდევ უფრო მეტი იქნება, ვინაიდან ნაწილი არესი არაა გატარებული აღრიცხვაში:

ყველა ამ ცნობების მიხედვით ამ წელს მოსავალი იქნება ისეთივე, როგორც შარშან, ე. ი. 3 მილიარდ ფუთი: ყოველ შემთხვევაში იქნება მაზე ძალიან ცოტა ნაკლები.

დამშეული რაიონები კი შეადგენენ დიდი-დიდი 4 პროცენტს. ამ 4 პროცენტის გამოკვება სრულიად არ იქნება ძნელი.

1922 წლის შემდეგ 1923 წლის მოსავალმა ჩვენ მოგვცა დიდი თადარიგი.

ამ წლის მოსავალიც არ იქნება საერთოდ ნაკლები. ამიტომ ჩვენ არაფრის შიში არ გვაქვს.

მოსავალი საერთოდ სრულიად საყოფნია.

დამშეულ რაიონებს დაეხმარებიან მოსავლით მაძღარი რაიონები.

ამიერ-კავკასიისთვის 3 მილიონი ფუთი პურის გადმოსროლა რუსეთიდან სულ უბრალო საქმეა.

არ შემცირდება იოტის ოდნავათაც ჩვენი ექსპორტიც.

ჩვენ ამ წელსაც, თუ მეტს არა, იმდენს მაინც გავიტანთ უცხო ბაზარზე, რამდენიც გაგვქონდა ამდენხანს:

შარშან ჩვენ გავიტანეთ უცხო ბაზარზე, საქონ. 200 მილიონამდე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ მეტს არა, ამდენს მაინც გავიტანთ წელსაც.

მართალია, მოუსავლობა ზოგიერთ რაიონებში ძალიან მძიმე იქნება ამ რაიონებისთვის, მაგრამ სასოფლო სამეურნეო ბალანსი საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში არ შეიძლება ჩაითვალოს ცუდათ.

ამიტომ სრულიად გადაჭარბებულია ის პანიკა, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთებში.

სრულიად უსაბუთოა ჩვენი მტრების ფუსფუსიც, თითქო ჩვენ მოგველოდეს 1920 და 1921 წლების შიმშილობა...

არც ისეა საქმე, როგორც მტრებს სურთ...

ა. რუხაძე.

პ ა ს უ ხ ი.

როცა ნ. ჟორდანია თავის პასუხს უგზავნიდა ყოფილ მენშევიკებს, ალბად, ფიქრობდა:

— თუ ყველას არა, დიდ ნაწილს მაინც დავაბრუნებ უკან, პარტიისკენო.

დავეშუქრები, მამაშვილურ რჩევას მივცემ და ეს ხალხი ისევ ჩემსკენ იბრუნებს პირსო.

მაგრამ მოტყუვდა ანგარიშში.

თუ ამდენხანს კიდევ ვინმე შერჩა მენშევიკურ პარტიას, ჟორდანიას წერილის შემდეგ ისინიც გაშორდენ მას.

ამას მოწმობს გარე-კახეთის მენშევიკური მასიური ყრილობა. ოთხას ოცდაცხრა კაცი გარეკახეთში კვლავ ანებებს თავს მენშევიკურ პარტიას და უერთდება ყოფილ მენშევიკების პოზიციას.

მშვენიერი გამოძახილი იპოვა ამ წერილმა თბილისში, ბათუმში, ფოთში, გურიაში...

ყველგან უარყოფით შეხვდენ მას...

თუ ნოე ჟორდანიასადმი კიდევ ვიღაცეს შერჩა თუნდაც ცოტაოდენი პატივისცემა, ამ წერილის შემდეგ მას ზურგი მიაქცია ყველამ.

სხვანაირად არც შეიძლებოდა.

წინეთ, როცა არ ვიცოდით თუ რა იყო საბჭოთა ხელისუფლება, შესაძლებელი იყო ტყუილებით გამოეკედათ ყურები.

ამ ტყუილებს მაშინ ჭონდა გასავალი.

დღეს კი, როცა საბჭოთა ხელისუფლება ფაქტია და ის ყველამ დაინახა თავისი თვალებით, ჭორებს არავინ დაუჯერებს.

ნ. ჟორდანიამ თავი მოუხსნა ჩვეულებრივ ჭორებს.

და ფიქრობდა დღესაც ისე დაუჯერებდნენ ამ ჭორებს, როგორც წინეთ.

მოტყუილდა.

სულელი არავინაა. თეთრის და შავის გარჩევა შეგვიძლია. უჯარო—ღენერლები საბჭოთა საქართველოში სასკანდალოთ გვიგზავნიან ისეთ ხალხს, რომლებმაც დიდი ხანია დაიმსახურეს ყველას გულისწყრომა.

როცა მუქარით, მამაშვილური დარიგებით ვერას გახდა ნ. ჟორდანია, ის გვიგზავნის ინსტრუქციით პროფესიონალურ სკანდალისტს ბენია ჩხიკვიშვილს.

მაგრამ დაავიწყდა მას, რომ ჩხიკვიშვილს შეუძლია სკანდალების მოწყობა მხოლოთ კაფე-შანტანებში.

ხოლო სახელმწიფოებრივი მასშტაბით სკანდალის მოწყობა მას არ შეუძლია.

ბენია ჩხიკვიშვილის გამოგზავნა, ეს იყო „Ставка ва-банк"...

ამით ამოიწურა საზღვარ გარეთის ბიუროს ძალები...

ამით დაესო წერტილი არალეგალურ ცეკას მუშაობას...

ბენიაზე უკეთესი ვერავინ ნახეს... მეტი არავინ ყავთ...

ასე არასასახელოთ თავდება არალეგალურ ცეკას არასასახელო არსებობა.

ნაცნობი.

გაკვრით დემოკრატიაზე.

ნ. ჟორდანია თავის ბროშურებში „ბრძოლის საკითხები" ერთს ადგილას ეხება დემოკრატიას და ამბობს, რომ დემოკრატიის პრინციპი ჩაისახა არა კლასიურ საზოგადოებაში, დემოკრატიას ქონდა გასავალი იმ დროს, როცა საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი კლასებათ.

იმ დროს ყოველივე საკითხი—ომი, შინაური საქმეები—სწყდებოდა მხოლოდ საერთო კრების მიერ. ამ საერთო კრების (დემოკრატიის) ნების შემსრულებელი იყო ამორჩეული პირი.

მაგრამ დემოკრატია გაქრა იმ წამსვე, როგორც კი დაიყო საზოგადოება კლასებათ.

ასეთ საზოგადოებაში მბრძანებელი დარჩა მხოლოთ გაბატონებული კლასი.

ასე აგვიწერს ნ. ჟორდანია დემოკრატიის წარმოშობის და მოქმედების ისტორიას.

და თვითვე ვარდება წინააღმდეგობაში, როცა ამ ჟამათ, კლასიურად დაყოფილ საზოგადოებაში ის მოითხოვს დემოკრატიის პრინციპის აღდგენას.

კლასთა ბრძოლის პროცესში განა შეიძლება სხვადასხვა კლასების წარმომადგენლების შეთანხმება?

რევოლიუციის პირველ დღეებში, სულ მოკლე დროს განმავლობაში, ეს შესაძლებელია: ეს იქნება დროებითი შეთანხმება.

მაგრამ ეს შეთანხმება მეტად მოკლე დროსია, ის აუცილებლად დაირღვევა. კლასთა ინტერესები დაანგრევს, უთუოდ მოსპობს ამ შეთანხმებას.

აიღეთ ჩვენებური კოალიცია,

ის მუდამ რყევაში იყო. იქ მუდამ ადგილი ქონდა შეხლა-შემოხლას. შეუძლებელი იყო ჰარმონია ინტერესთა.

მთელი ჩვენი ცხოვრება კლასთა ბრძოლის ისტორიაა, გამარჯვებული კლასი ყოველთვის არის დიქტატორი.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბურჟუაზიული დიქტატურა არსებობს.

ჩვენში გაიმარჯვა პროლეტარიატმა.

ამიტომ აქ არის დიქტატურა პროლეტარიატის. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ბურჟუაზიას უნდა დიქტატურა მუდმივ დიქტატურის განსამტკიცებლად.

პროლეტარიატს კი უნდა დიქტატურა კლასთა სხვადასხვაობის მოსასპობად.

ამიტომ ლაპარაკი დემოკრატიაზე, კოალიციაზე, სხვადასხვა კლასთა ინტერესთა ჰარმონიაზე ცარიელი სიტყვებია.

დემოკრატია—ხალხის მართველობაა, მაგრამ განა შესაძლებელია კლასობრივად დაყოფილ საზოგადოებაში ხალხის მმართველობა?

შეიძლება შეთანხმება, ინტერესთა ჰარმონია იქ, სადაც ადგილი აქვს ინტერესთა შეჯახებას?

ნ. ჟორდანია თუ მარქსისტია, მარქსისტულად უნდა მიუდგეს ამ კითხვას.

ა. რ.

ქიმიური ომი

ქიმია გვაცნობებს მრავალ ნივთიერებას, რომელიც ადამიანისა და საერთოდ ცხოველების ორგანიზმზედ ზხამიანად მოქმედებს. ქიმიური ნივთიერებანი თავიანთი ფიზიკური თვისებებით შეიძლება იყვნენ მაგარი, სითხე და აირი, მხოლოდ ტემპერატურისა და ჰაერის დაწოლვის ცვლილებით ყოველი ნივთიერება შეიძლება სამივე სახით მივიღოთ. ასე, მაგალითად, ქლორი ჩვეულებრივ ტემპერატურით (ქიმიაში ჩვეულებრივი ტემპერატურად მიღებულია ოთახის სითბო—ცელსიუსის 18°) და ჰაერის დაწოლვით—აირია, მხოლოდ—33° (ნოლის ქვემოდ) იგი სითხეა და—102°-ზედ (ნოლის ქვემოდ) იგი უკვე მაგარი ნივთიერებაა. შვიდი ატმოსფერის დაწოლვით ტ—22°-თ ქლორი აგრედვე სითხეს წარმოადგენს და ამ სახით ინახება ფოლადის ჭურჭლებში, ბალონებში. საცობის მოშვებით ქლორი გამოდის და მაშინვე აირად იქცევა.

ზხამიანი აირები იმპერიალისტურ ომის დროს 1915 წ. 22 აპრილიდან გერმანელებმა პირველად იხმარეს, როდესაც მათ პირველი სააირო იერიში მოახდინეს, ისარგებლეს რა კაოგად ცნობილ აირით—ქლორით. სამხედრო მიზნით ზხამიან აირების მოხმარების აზრს მიაწერენ ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ნერნსტს. გერმანელებს ეს აზრი ომის პროცესში დაებადათ, თორემ მათ რომ წინასწარ ჰქონოდათ გადაწყვეტილი ზხამიან აირების ომში მოხმარება, მაშინ ომი 1914 წელშივე დასრულდებოდა. ვინაიდან იმ ჟამად მხოლოდ გერმანიაში იდგა სათანადო სიმაღლეზე ქიმიური მრეწველობა, დანარჩენ ქვეყნებში კი სრულებით არავითარი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული მრეწველობის ამ დარგს.

ანაზდეულად ჩატარებულმა პირველმა სააირო იერიშმა თავზარი დასცა მოკავშირეთ. საიერიშო წერტათ არჩეული იყო მდ. იპრის გამოწეული ქიმი, სადაც ინგლისელებისა და ფრანგების კედაროები (ფრონტები) ერთმანეთს ერთვოდენ.

ფრანგების მარჯვენა ფრთას შეადგენდა ტიურკოსთა ლეგიონი, ინგლისელების მარცხენა ფრთაზედ კი იდგენ კანადელები. ამ ჯარმა უცბად დაინახა მწვანე-მოყვითალო ფერის დიდი ღრუბელი, რომელიც დედამიწიდან ამოდიოდა და ქარი ნელნელა მიაქანებდა მათკენ, აირი ეკვროდა მიწას, ავსედბა ყოველ ორმოს თხრილებს და ძაბრებს. ჯარი ჯერ განცვიფრებაში მოვიდა, შემდეგ შეკრთა და თავზარი დაეცა მას შემდეგ, როცა კვამლის ღრუბელი შემოეხვია მთელ მიდამოს და ჯარისკაცებს სულთაბრძოლვა დააწყებინა, ვისაც კი შეეძლო მოძრაობა, გაიქცა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში უშედეგოთ, რადგან ქლორის კვამლი ულმობლად მათ სდევნიდა და წინ ასწრობდა.

ქლორის ღრუბელს უკან მისდევდა გერმანელების ქვეითა ჯარი. ამ იერიშისაგან მოკავშირეებმა დაკარგეს 50 ზარბაზანი და კედარო 3 კილომეტრის სიღრმით. უფრო საშინელ სურათს აგვიწერს სააირო იერიშის შედეგებს რუსეთის ფრონტზედ, წითელდროშოვან კავკასიის არმიის მთავარსარდალი ამხ. ჰუგაჩოვი.

„18 მაისს 1915 წელს აირით შეტევის დღეს მე-14 ციმბირის დივიზიაში, რომელიც მდინარე ბზურის ჩრდილოეთით იდგა, ითვლებოდა 14.000 მსროლელი. იერიშის შემდეგ მათ რიგებს 6000 კაცი მოაკლდა, ე. ი. მთელი შემადგენლობის ნახევარზედ ცოტა ნაკლები, მათ რიცხვში 3000-ზედ მეტი ბრძოლის ველზედ დარჩა. დანარჩენი აირით მოწამლული გაიგზავნა ზურგში. თუ რა ბედი ეწვია ამ უკანასკნელთ, არ ვიცი, ნაგრამ იყო ცნობები, რომ ბევრი მათგანი ვარშავაში ჩასვლამდე ზაიხოცა.

რიგში დარჩენილ მსუბუქად მოწამლულთ მე არა ვთვლი. დივიზიის პოზიციის ზურგს უკან რიგებათ ეწყო აირის მსხვერპლთა გვამები. სურათი მეტად შემაძრწუნებელი იყო, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შეტევა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად მოხდა და არ გვქონდა აირისაგან თავდაცვის არავითარი საშუალება."

ამ გვარი იყო აირის ანაზდეული პირველი მოქმედებანი, მხოლოდ გერმანელების სარდლობამ ვერ გამოიყენა ეს მიღწევა ბოლომდე. ეს სულ ახალი საქმე იყო და აირის იერიშს ხელმძღვანელობდენ მეცნიერების წარმომადგენელნი და არა სამხედრო სპეცები, რომელთაც გათვალისწინება შეეძლოთ ბრძოლის ამ ახალი ძლიერი მეთოდით. ეს იერიშები იყო შესავალი ქიმიურ ომისა. ამას შემდეგ მოჰყვა ახალი იერიშები სხვა უფრო ზხამიან აირებისა. აირიან ღრუბელს ხელის შემწყობ ქარის ქროლვის პირობებში და ამინდში შეუძლიან მო-

შხამოს ადგილმდებარეობა 15 კილომეტრის სიგრძით, აირის გამოშვების ადგილიდან. ეს საშუალება მოითხოვს ხანგრძლივ სამზადისს და ბალონების დადგმა მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. იერიშის წარმატებით ჩასატარებლათ საჭიროა 1000—2000 ბალონი კედარის ერთ კილომეტრზედ და 1000—3000 ფუთამდე აირია (მაგ. ქლორი) გაშვება საჭიროა ერთი საათის განმავლობაში.

ამიტომ გამონახეს უფრო სახელდახელო საშუალებანი მომწამლავ ნივთიერების სასროლად. გერმანელებმა მიჰმართეს ქიმიურ ყუმბარებს. ინგლისელებმა შემოიღეს ლივენსის სისტემის ნაღმტყორცნი, რომელიც ისროდა 1500 მეტრის სიშორით. გერმანელებმა ჭრილიანი ნაღმტყორცნი დაუპირდაპირეს, რომელიც 3000 მეტრზედ ისროდა.

ამ ახალ საშუალებამ მისცა შეძლება მთელ რიგ მეტად შხამიან ნივთიერების გამოყენებისა, რომელნიც აირ-ბალონიან იერიშისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ.

ქიმიამ ომში შეიტანა სიკვდილი, მაგრამ მას ამავე დროს მომწამლავ ნივთიერებათა საწინააღმდეგო საშუალებანიც მოეპოვებოდა

ერთად ერთი საუკეთესო საშუალება საბრძოლო აირებისაგან თავდაცვისათვის—ეს კარგი აირისაწინააღმდეგო პირბადეა, რომელიც სწურავს ჰაერს განსაკუთრებული შემთვისებელი ნივთიერებით, ან პირბადე, რომელიც ადამიანს განამხოლოებს ირგვლივ ატმოსფეროდან და სუნთქვის შეძლებას აძლევს ჟანგბადით განსაკუთრებულ აპარატიდან.

წარსული ომის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ შიში აირებისა და მისგან ზიანი უმთავრესად დამოკიდებულია უმეცრებაზედ და, რომ სააირო იერიშისაგან ნაკლებად ზარალდებიან ის სამხედრო ნაწილები, რომელნიც კარგად არიან გაწვრთნილნი ქიმიურსა და აირ.საწინააღმდეგო საქმეში, დისციპლინით განმტკიცებულნი არიან.

ვინაიდან სამხედრო სამსახურის დრო საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქისა მეტად მცირეა სამხედრო საქმის შესწავლისათვის, ამიტომ საჭიროა ყოველი მათგანი ჯერ კიდევ ჯარში გაწვევამდე და მშვიდობიან დროს გაცნობილი იყოს ქიმიურ აირთა თვისებასა და აირსაწინააღმდეგო სათანადო ზომების მიღების ცოდნას.

გ. ბარნაბიშვილი.



ლენინიზმის შესწავლისათვის

მომენტი მძიმე და რთულია, ისტორიული მომავალი მოღრუბლულია და ჩვენი რაობის განმტკიცება, შეკუმშული ღრუბლის გახსნა ჩვენს გათვითცნობიერობაში უნდა ვეძიოთ, არ არსებობს ხსნა ჩვენი სიმტკიცის და ცოდნის გარეშე. აქედან დასკვნა—ყველა პატიოსანი რევოლიუციონერი მთელი თავისი არსებით უნდა ჩაებას პოლიტიკური მომზადების ფერხულში.

ამ მხრივ დიდი და მოსაწონი ნაბიჯი გადადგა ყოფილ მენშევიკების ბიურომ ტფილისში. ჯერ კიდევ ადრე შეუდგა მზადებას და საჭირო მუშათა ელემენტების გამოძებნას პოლიტიკური წრის დასაარსებლად ლენინიზმის და მარქსიზმის შესასწავლად. საქმე დაავგვიგვინა და აპრილის პირველ რიცხვებში კიდევაც დაიწყო მოქმედება წრემ ბ. ლომინაძეს ხელმძღვანელობით. წრეში შეძლებისდაგვარად თავი მოიყარა ტფილისის ძველმა და მოწინავე ყოფილ მენშევიკ მუშებმა. პირველ რიგში შესასწავლად აიღეს ზინოვიევის წიგნი „რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია“, თუმცა წიგნის დაბოლავებაში თვით ავტორი ამბობს წიგნის სქემატიურობაზე და სიმოკლეზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ერთათ-ერთ წიგნათ ითვლება, რომლითაც შეიძლება მთლათ წარმოდგენა იქონიოს კაცმა კომ. პარტიის ისტორიაზე. მეცადინეობა სწარმოებდა შემდეგი წესით: თითო ლექცია ნაწილდება სამოთხ მომეცადინეთა შორის, რომელნიც შემდეგი კრებისთვის ამზადებენ მიცემულ ნაწილს და მომავალ კრებაზედ აკეთებს მოხსენებას ისე, როგორც თითონ გაიგო და შეითვისა, შესცდომებს ავსებს და ასწორებს ხელმძღვანელი, და გზა და გზა გაკეთებული მოხსენების ახსნა განმარტებისთვის, აღებული კითხვის ფარგალში იძლევა მოკლე შეკითხვებს. იმ თანდათანობით, როგორც დასახელებულ წიგნში ზინოვიევი ეხება და აღნიშნავს რომელიმე ცალკე კითხვას, ხელმძღვანელი შესაფერი ლიტერატურით შესასწავლად სვამს ამ ცალკე კითხვას და ამ რიგად ზინოვიევის თეზისებური წიგნი ივსება და მნიშვნელოვანი ხდება, ამ მხრივ ზინოვიევის წიგნი შეიძლება ჩაითვალოს კომ. პარ. ისტორიის შესასწავლ მეცადინოებისთვის გაფართოებულ და განვითარებულ პროგრამად.

დასახელებული წიგნის დათავების შემდეგ წრემ მიიღო „ისტორიული მატერიალიზმის“ გავლა, რასაკვირველია აქ ნაგულისხმებია ისეთი შემადგენლობის წრე, სადაც დასაწყისი პოლიტიკურ-ეკონომიის კურსი უკვე დიდი ხნის შესწავლილი აქვს, ამის შემდეგ წრე შეძლებს გადავიდეს პირდაპირ მარქსის „კაპიტალზე, რასაკვირველია კ. კაუცკის მიერ შედგენილ მარქსის კაპიტალის პოპულიარიზაციის გავლის შემდეგ. ხოლო თუ რომელიმე წრე თავისი მომზადებით ვერ იკისრებს ასეთ ნაბიჯებს, მან, რასაკვირველია, სხვა გეგმით უნდა იაროს, მისი გეგმა დაახლოვებით ასეთი იქნება „პოლიტიკური ეკონომია“ შესავალათ; „ეფრუტის პროგრამა“; „კომუნისტური მანიფესტი“; „ისტორიული მატერიალიზმი“; შემდეგ მრავალი ცალკე წიგნებში გარკვეული პრინციპიალური და პროგრამული კითხვები, რის შემდეგაც შეიძლება „კაპიტალზე“ გადასვლა კაუცკის პოპულიარიზაციის გავლის შემდეგ.

როგორც მკითხველი მიხვდება, აქ ნაგულისხმებია გარდა ტფილისში დაარსებული წრისა კიდევ სხვა წრეებიც, უმთავრესად პროვინციებში და ისიც ყოფილ მენშევიკებში, რომელნიც არაფერს აკეთებენ მცირე გამონაკლისის გარდა, გათვითცნობიერობის და პოლიტიკური მუშაობის მხრივ. ამიტომ ტფილისის სამეცადინო წრის ხელმძღვანელო კომისია მოუწოდებს მთელ საქართველოში საგუბერნიო, სამაზრო, საქალაქო და სათემო ყოფილ საინიციატივო ბიუროებს გააჩაღონ მუშაობა ამ მხრივ და ყველგან შექმნან ლენინიზმის და მარქსიზმის შესასწავლი წრეები, ეს იქნება უდიდესი ისტორიული საკეთე რევოლიუციის

***

მზეს ლაქები დაჰფაროდა, არ ვიდოდა განთიადი.
უფსკრულს ფრთები გაეშალა, სივრცე იყო ბნელ-წყვდიადი.
ამ წყვდიადში მოძრაობდა ლეგიონთა ბევრი რიგი.
მიწა ქაოსს დამზგავსოდა, რომლიდანაც გაჩნდა იგი.
მთვარე ციდან დაჰყურებდა სისხლის ტბას და გახრწნილ გვამებს.
მატიანე თხზავდა ხალხთა ტრაღედიებს და შავ დრამებს.
ცივი ქარი სისინებდა წინაპრების ძვლებთა მილში
და ისმოდა მწარე კვნესა საფლავიდან მკვდრებთა ძილში.
გაიბზარა მიწა ბრაზით-სტიქიონი ამოხეთქა,
რომ ავსულნი ცეცხლის ღეველფში ჩაეტანა და შთაენთქა.
ხმლებს გაჰქონდა ხმლებზე ჭექა, ელვარებდა ცეცხლის ალზე,
რათა დროშა გამარჯვების აეტანა ზე-მწვერვალზე.
დაცხრა ბრძოლა... მებრძოლთ გვამით მოიჭალა ბრძოლის ველი.
ხვრელებს ეძებს დასამალვად გაწყვეტილი წელში ძველი.
ძირს დაეცა ოქროს კერპი ჯალათების და წარმართთა.
გამარჯვების ქანდაკება ნანგრევებზე აღიმართა.
აღარ არის აღმართული ხალხთა შორის კლდე-კედელი.
მიწას საზღვრავს ჰორიზონტი და ზღვის სივრცე თვალუწვდენელი.
ხალხთა ტომი ერთმანეთში აღარ ანთხევს შხამს და ნაღველს.
ამოცურდა მზე ცისკარზე-გაუკვირდა ამის მნახველს:
მიწა მღერის შრომის ჰიმნებს და არ ისმის მწარე კვნესა,
მაგრამ როცა მთვარემ უთხრა: სიმართლეა ყველა ესა—
დააფრქვია მზემ სხივები—მიწა შუქში ამოქარგა
და სთქვა: მჯერა, აწ წარსული სამუდამოდ დაიკარგა.

მონავარდე.

და სოციალიზმის გასაუმჯობესებლად. მართალია პროვინცია ღარიბია ლიტერატურით და ხელმძღვანელ ამხანაგებით, მაგრამ შეძლების დაგვარად ეს დაბრკოლებაც დაძლეულ უნდა იქნეს ჩვეულებისამებრ, ინიციატორების პირადი ენერგიით და აღმასკომ-კომ. პარტიის თავიანთი კულტ.—და აგიტ-პროპ. განყოფილებათა უახლოესი და საქმიანი დახმარებით. ასე სდგას კითხვა ტფილისში, აქაური წრეს ლიტერატურა-ხელმძღვანელით ეხმარება ცეკა.

ტფილისის წრემ ამხ. ბ. ლომინაძის მოუცლელობის გამო დროებით შესწყვიტა მაცადინეობა, რომლის შემდეგ წრე ახალი დასვენებული ენერგიით შეუდგება თავის საყვარელ საქმეს—მეცადინეობის გაგრძელებას.

ტფილისის წრის სახელმძღვანელო კომისია მეცადინეობის შეწყვეტის გამო მოკლილია და დიდის სიამოვნებით მიიღებს დავალებებს და შეკითხვებს პროვინციელ ამხანაგებისგან, ჩვენ მიერ მოწოდებულ საქმის სწორ ნიადაგზედ დასაყენებლად და ბრწყინვალეთ დასაგვირგვინებლად. ჩვენ ველოდებით პროვინციის ახმაურებას ძველს, მაგრამ მუდამ ახალ საქმეში.

კომისიის მისამართია „სიმართლის ხმა“-ს რედაქციაში.

მუშა ზაქარია.

ნ. ჟორდანიას წერილის საპასუხოთ

მოვისმინეთ რა, თელავის ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროს მდივნის მოხსენება, სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობის მიერ ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილის და მისგან მიღებულ პასუხის შესახებ, დავადგინეთ:

ჩვენ ნ. ჟორდანიას მოწერილ პასუხს ვთვლით მთელ ემიგრაციის პასუხათ, რაშიაც არავითარ სოციალისტურს არ ვხედავთ. წერილი შედგენილია ყალბ, ტენდენციურ ინფორმაციაზე საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ, მეორეც ის, რომ ნ. ჟორდანია განგებ ამახინჯებს ფაქტებს და უარყოფს წინანდელ ნათქვამებს, ან მეხსიერება ღალატობს მას, რაც არ შეშვენის პოლიტიკურ მოღვაწეს.

ამიტომ ცენტრალურ ბიუროს და 43 მოწინავე ამხანაგის მიერ გაცემულ პასუხს სრულიად ვადასტურებთ.

ჩვენ ერთხელ კიდევ გაბედულათ და თამამათ ვაღიარებთ, რომ ყოფილ მენშევიკების აღებული ხაზი სრული ჭეშმარიტებაა და ამ გზაზე სიარულის პროცესში ვერავინ გადაგვეღობება მეტადრე იმ დროს, როდესაც საერთაშორისო რეაქცია ფაშიზმის სახით თავს უყრის ძალებს და შეუპოვარ ბრძოლაში შებმისთვის ემზადება მშრომელ მასსებთან, როდესაც მთელი საზოგადოება ორ ბანაკათ არის გაყოფილი, ჩვენ, რომელნიც მედგრად ვიცავთ პროლეტარიატის ინტერესებს, არ შეგვიძლია წამოვეგოთ იმ ანკესზე, რომელიც გადმოისროლა ჩვენსკენ პარიზში გადაბანაკებულ ნ. ჟორდანიამ, და მტკიცეთ, შეუდრეკლათ ვიდგებით მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

კიდევ ვაცხადებთ გასაგონათ ყველასი, რომ მენშევიკურ პარტიამ უღალატა ჭეშმარიტ მარქსიზმს, ფაქტიურათ იქცა ბანდიტ-ყაჩაღების და ინტერვენციის მომხრეთა ბანაკათ, თავიდან ფეხებამდე ჩაიფლა ოპორტიუნიზმის ჭაობში, რამაც აიძულა შეგნებული მუშების მშრომელ ინტელიგენციის ჩამოშორება მისგან და კომინტერნის დროშის ქვეშ დადგომა.

ცხოვრებაში გამართლდა ის გზა, რომელიც თამამათ აიღო ყოფილ მენშევიკების ყრილობამ ამ ათი თვის წინათ.

მაშასადამე, ვინც დარწმუნებულია ჩვენ მიერ აღებულ გეზის სისწორეში, ვის გულშიაც ღვივის რევოლიუციონური კოცონი, ის ვალდებულია გვერდში ამოუდგეს კომუნისტურ პარტიას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ.

ძირს იმპერიალისტური სულისკვეთება!

ძირს დასავლეთ ევროპაში გადაბანაკებულ ემიგრაციის მოღალატური მოქმედებანი!

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობის მიერ აღებულ ახალ გზას!

გაუმარჯოს ერთიან ფრონტს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს რ. კ. პარტიას, ავანგარდს პროლეტარიატის დიქტატურისას! *)

1. ა. ხითაროვი.
2. ალ. ჩიტოშვილი.
3. ივდავთიანი.
4. ა. ღიბრაძე.
5. შ. ლეკიშვილი.
6. ვ. სარაჯიშვილი.
7. ნ. იმნაძე.
8. შ. ყარაულაშვილი.
9. ნ. ტერ-ასტვაწატუროვი.
10. გ. ულუხანოვი.
11. ვ. ლაზარიაშვილი.
12. ა. კიმოთიძე,
13. ახვერდოვი.

შ. იაღუშოვი.

15. მიკირტუმოვი.
16. ჭიჭიკოშვილი.
17. სუხიტაშვილი.
18. ჩხუბიანი.
19. ომიაძე.

20 მ. ორდენიძე.

21. გ. გაბიცინაშვილი.

22 ღ. თურქესტანიშვილი.

23. ი. ჯაფარიძე.
24. ა. ნამგალაძე.
25. გ. აკოფოვი.
26. ლ. კიმოთიძე,
27. ლ. გოგიაშვილი,
28. კ. ცერცვაძე.
29. სოსო მაჭავარიანი.

უერთდებიან 43 პასუხს. გარეკახეთი *)

203. მამულაშვილი ესტატე
204. მამულაშვილი ნიკა
205. ყვარელაშვილი კოლა
206. ნახუცრიშვილი ვასო
207. გელოვანი კოლა
208. ქოქრაშვილი კოტე
209. ქოქრაშვილი ანდრო
210. ბლუიშვილი გიორგი
211. ახალკაციშვილი თედო
212. ლოლაძე გიგო
213. ყვარელაშვილი კოლა
214. პარუნაშვილი ალექსი
216. ყვარელაშვილი სიმონი
117. მამულაშვილი კოლა
118. ქოქრაშვილი იოსები (ივანესძე)
119. კერესელიძე სოსო

ლილო

220. ქარხუზაშვილი პეტრე
221. გაბათაშვილი ქიტესა

ახალსოფელი

212. იმნაძე იაკობი
213. ყასაბიშვილი ალექსი
224. მეზვრიშვილი თედო
225. ტორაძე ერმანი
226. კუჩედური იაკოფა.
227. წიკლაური შაქრო
228. კუნელაური ვანო
229. ჩაღრაღანიძე ვანო
230. წიკლაური ლუკა
231. დურგლიშვილი ალექსი
232. მამადხანიშვილი
233. მეტრეველი კოლა
234. მეტრეველი ივანე
235. სალგაშვილი გეურქა
236. ობოლ გოგიაშვილი გიგო
237. მარტიაშვილი ო.
238. ჩაბურზანაშვილი ალ.
239. ჭანტურაშვილი იაკო
240. ბადრიძე სანდრო
241. ცხვარიაშვილი კოლა.
242. მაღალდაძე გიგო
243. კახაბრიშვილი ისაკი
244. ბარანაშვილი დავით
245. გაბროშვილი გიგო
246. გოგიჩაშვილი ალექსი
247. გაგნელიძე დ.
248. მარღიშვილი გიგო.
249. კოლჩიმანი ირემე
250. ტომარაძე მიშა
251. ჩიბარდანაშვილი სანდრო
252. გოგიაშვილი იაგორ
253. კახაბრიშვილი მიხა
254. მარღიშვილი გიორგი
255. ჩაღრაღანიძე გიგო
256. გუბანიძე იოსები
257. წივილაშვილი სანდრო
258. კახაბრიშვილი აბრამა
259. ყასაბიშვილი ნიკო
260. ფიდოშვილი ვანო

*) იხილე „სიმ. ხმა“ № 32

261. აღამალოვი გიგო
262. ჯანიაშვილი ალექსი
263. ჯანიაშვილი დავით
264. მარტიაშვილი რ.
265. მიქელაძე ალექსი
266. ტორაძე არსენა.

მარტყოფი

267. ძამაშვილი ალექსი
268. ებიტაშვილი მიხა
269. ჩიტიშვილი ანტონ.
270 ლორიაშვილი შაქრო
271. გუგუნაშვილი კ.
272. გუშაშვილი ივანე
273. ირინაშვილი
274. ლეკიშვილი კოლა
275. ნავროზაშვილი ქიტა
276. კეკერაშვილი სანდრო
277. ებიტაშვილი დავითი
278. ებიტაშვილი ისიდორე
279. ებიტაშვილი ვანო
280. ალხუშვილი
281. კობიაშვილი ანტონი
282. ტაბლიაშვილი ვანო
283. ლუკაშვილი იაკოფ
284. ახალკაციშვილი მიხა
285. ივანიაშვილი ნიკო
286. სამჭკუაშვილი ი.
287. ლეკიშვილი მურადა
288. სალთხუციშვილი მიხო
289. კასტუაშვილი სოლკა
290. კირეულიშვილი მიტრო
291. კორახაშვილი ქიტესა
292. თურქიშვილი იოსება
293. თურქიშვილი ი. სიმონისძე
294. სალთხუციშვილი ნიკო
295. სალთხუციშვილი ფიდო
296. შობიშვილი დევანოზ
297. ქურთიშვილო ქიტესა
298. შამნაშვილი კოტე
299. ეშარიშვილი ელიოზ
300. გუდიშვილი გიორგი
301. ბერუაშვილი სანდრო
302. ყარაშვილი დათიკო
303. ჯამასპაშვილი ნიკო
304. კოკაშვილი მ.

პატარძეული

305. ბილანიშვილი ალექსი
306. ბურდული ევგენ
307, გოჩიტაშვილი ნიკოლოზ
308. გაბროშვილი ალექსა
309. კოკრაძე გიგო
310. ნარიმანიშვილი იოსებ
311. ჯიღაური პეტრე
312. უნაფქოშვილი მიხა
313. ფაფიაშვილი იასონ
314. ცინარიძე გეურქა
315. თათარაშვილი გაბო
316. ბილანიშვილი გიგო
317. მეხაშიშვილი ლადო
318. ჯიღაური ბესო
319. უსტიაშვილი ლევან
320. უნაფქოშვილი ვასილა
321. უსტიაშვილი ვანო
322. ჩიკარტაძე მიხა
323. უნაფქოშვილი ვანო
324. უსტიაშვილი გიორგი
325. ოთარაშვილი კოტე
326. მიქელაშვილი ი.
327. ფიცხელაური იოსებ
328. მენაბდიშვილი ტატო
329. ბუჩაურო შიო
330. ლაფიერაშვილი გიორგი
331. ყუშიბაშვილი მიხა
332. მეხაშიშვილი იოსები

სართიჭალა

333. ხელსუფოვი გიგო
334. ყაითბაზაშვილი ფირუზა
335. დოხტურიშვილი რომანა
336. რატიშვილი იოსები
337. ჭოხონელიძე ნ.
338. ყარანაშვილი ალექსა
339. ცაცკრიალაშვილი ალექსა
340. მეტრეველი ილია
341. ცერცვაძე დათა
342. თუშიშვილი ვანო
341. დურგლიშვილი ანდრია
342. ყარანაშვილი ილია
343. გურგენიძე თედო
344. არჩუაძე ვასო
345. კოლაშვილი იოსებ
346. მიჩანაშვილი სიმონ
347. შაიშელაშვილი შაქრო
348. ობოლიშვილი ვანო
349. გრატიაშვილი გიორგი
350. ჯარიაშვილი ლადო
351. მეტრეველი ლ.
352. მეტრეველი ნიკო
353. დოხტურიშვილი ლადო
354. გაბიშვილი გიორგი
355. გენგაშვილი სოლომონი

ნინოწმინდა

356. არტემ გძელიშვილი
357. ასრათაშვილი შაქრო
358. გძელიშვილი გეურქა
359. ოკინაშვილი წყალობა
360. ოკინაშვილი გიორგა
361.ოკინაშვილი გ.
362. ასრათაშვილი ვანო
363. შიოშვილი დათიკო
364. მღებრიშვილი მიხაკო
365. აღაპოვი არშაკ
366. ყირაშვილი ალექსი
367. სუხიშვილი შაქრო
368. როსტომაშვილი მიშა
369. როსტომაშვილი ანდრო
370. ყაითმაზაშვილი გიგო
371. მათიაშვილი ნიკო
372, როპიკაშვილი გიორგი
373. ლუკმაშვილი შაქრო
374. შიოშვილი, კოლა
375. ოკინაშვილი ილია
376. ასრათაშვილი გიორგი
377. სალთხუციშვილი ვანო
378. ასრათაშვილი შაქრო*)
379. ტერტერაშვილი გევლო
380. დიმიტრაშვილი შაქრო
381. როსტომაშვილი შაქრო
382. ფეიქრიშვილი თედო
383. შოშიაშვილი თედო
384. გუდარაშვილი გიორგ
385. ოკინაშვილი დარჩო
386. შოშიაშვილი დათიკო
387. ოკინაშვილი ოსიკო

*) აქვე მიდის ოცდა ათი კაცის ხელის მოწერა, რომელიც ვერ გავარჩიეთ.



ჩვენც უერთდებით.

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი სავსებით უერთდებით 43-ამხ. პასუხს ნ. ჟორდანიას წერილზე და უკანასკნელად კიდევ ვაღიარებთ, რომ ნ. ჟორდანიას წერილი დამყარებულია ცრუ ჭორებზე და მას არ სურს პირადი ქინიანობით გაიგოს ჩვენი სინამდვილე. და არცა ვთხოვთ მას მობრძანებას მისი წერილის შემდეგ:

ძირს მსოფლიო მენშევიზმი.

1 ნ. ვაჭარაძე.
2 ხურცილავა იასონ.
3 კ. გელაშვილი.
4 ჯღერია.
5 შარამანიძე ნიკოლოზ.
6 დიმიტრაშვილი.
7 ილ-ციმაკურიძე.
8 ბაჭოაძე.
9 შალვა თელია გიორგისძე
10 დატაშვილი.
11 მ. ოსელოვ.
12 ს. თოდაძე.
13 ჩხიკიშვილი.
14 ი. ნაღისაშვილი.
15 საბეშვილი.
16 სალუქვაძე.
17 გოგიშვილი ლევან.
18 ნინიკაშვილი ალექსანდ.
19 ნოხაძე ვანო.
20 ს. გიგაშვილი.
21 ბანაბე ბურჭულაძე.
22 ქონიაშვილი.
23 მ. მეტეხელი.
24 ბათიაშვილი.
25 ბურკაძე.
26 რ. გუკალოვ.
27 სანდრო ნადირაშვილი.
28 გ. შურდოვანიძე.
29 დაძნელაძე.
30 წერეთოვი
31 ს. ფარცხალაძე.
32 რაზმაძე
33 ბახტაძე—დავითი.
34 გიორგი წრეწაძე.
35 ტერტერაშვილი გიორგი.
36 ნ. კაპანაძე.
37 ი. თედეშვილი.
38 ესიაშვილი.

მუშათა წერილები

დამაფიქრებელი ციფრები.

62, 23 და 14 პროცენტი. **თურმე მთელი გლეხკაცობის 62 პროცენტი შესდგება ღარიბ-ლატაკებისაგან.** 23, შუათანა ქონების გლეხებისაგან და **მხოლოდ 14 პროცენტი კი მდიდარ მევახშე-კულაკებისაგან:** რომ ღრმად დავაკვირდეთ ამ ციფრებს, დავინახავთ, რომ მთელი გლეხკაცობის ბედ-იღბალი თითქმის იმყოფებოდა სწორედ ამ 14 პროცენტიან ნაწილის კლანჭებში, დღეს, მართალია, ასე არ არის, გლეხთა მთავრობის ჩაქუჩის სიმძიმის ქვეშ ამ მევახშეებს ენა ჩავარდნილი აქვთ მუცელში, ისე თავისუფალთ ვეღარ თარეშობენ ღატაკ გლეხებში, მაგრამ მაინც ცდილობენ ზიანის მიყენებას მუშათა და გლეხთა ხელის უფლებისათვის. და ესენი თავიანთ დაჩეხილ თავებით თანდათანობით ღონეს იკრებენ და „მოქმედების ნიშნებს იჩენენ უფრო იქ, სადაც არ არსებობს კოოპერატივები: არც სასოფლო, არც საკრედიტო და არც სამომხმარებლო. ასეთი ადგილები კი, სადაც არ არსებობენ კოოპერატივები, სამწუხაროდ ჯერჯერობით ბევრია და ამიტომაც საშიშია კიდეც. ისინი უსათუოდ ასწევენ თავებს და გათამამდებიან, თუ არ გაძლიერდა მათ საწინააღმდეგოდ მოძრავი იარაღი—კოოპერატივები სოფლად. და აი დღეს, როდესაც ჩვენ ვდღესასწაულობთ მსოფლიო კოოპერაციის საერთო დღესასწაულს, ეს გარემოება უნდა გვქონდეს ამ დღის წესრიგის სათავეში, გავაძლიეროთ ყველგან კოოპერატივები, ავამოძრავოთ ჩვენი პროვინციელი ყველა ძალები და ამ რიგად ხელი შევუწყოთ მუშა-გლეხთა მთავრობის ბრძოლას მევახშე და კულაკების წინააღმდეგ.

გუშინწინ, ავჭალაში შევხვდი გორის მაზრიდან რამდენიმე ათეულ გლეხს, რომლებიც ნამგლებით იყვნენ შეიარაღებულნი. ეს ხალხი ბრუნდებოდა წარსულში ხორბლეულობით მდიდარ ბორჩალოს მაზრიდან, სადაც წასული იყვნენ ყანის მოსამკელად.

— როგორი მოსავალია იქ, ამხანაგებო— შევეკითხეთ ჩვენ.

— აი, ჩემო ძმაო,—გვიპასუხეს—გადამწვარია, რომ ნამგლებიც კი არ გვილესნია და არც შევსულვართ სამმე ყანაშიო...

ასეთივე სურათი დაგვიხატეს გორის მაზრის შესახებაც, საიდანაც ჩამოსულიყვნენ ისინი. რას გვეუბნება ეს პატარა მაგალითი ჩვენ? იმას, რომ ნაწილობრივ იხსნება ანუ მზადდება ასპარეზი სოფლელ მევახშეთათვის. ამითი ისარგებლებენ ისინი, საშინელ პროცენტებით მისცემენ სესხად ფულს ერთის მხრივ და ნახევარ ფასში შეიძენენ ეხლავე პურს იქ, სადაც მოიპოვება. და მერე კი, გაჭირვების დროს ცეცხლის ფასად მიყიდიან იმავე გაჭირვებულ გლეხობას... აქ არავითარ ეშვიანობას ადგილი არ ექნება, მათ აქვთ ასეთი „გამოცდილება“ და კიდეც შეასრულებენ თუ დროზე არ მივაქცეთ ყურადღება.

რა უნდა ვქნათ?

საერთოდ უნდა გაძლიერდეს კოოპერაცია, იქ, სადაც უკვე არსებობს კოოპერატივები უნდა ადგილობრივ გაასკეცონ თავიანთი მოღვაწეობა და არ დაანებონ არც ერთი მარცვალი პური კერძო მევახშეებს. ამისათვის კი საჭიროა სესხი თუ არა, უსაჭიროეს საგნების მომარაგება მაინც, რომ გლეხკაცი იძულებული არ გახდეს და არ მიმართოს კერძო ჩარჩ-მევახშეებს. იქ კი, სადაც შესაძლებელია სესხით დახმარება, რა თქმა უნდა, ეს დახმარებაც აუცილებელია.

კოოპერაციის დაარსება, რაც გინდ დიდი იყოს ჩვენი სურვილი, არაა ერთ დღის სექმე. ამიტომ იქ, სადაც ჯერ არ არსებობს, ადგილობრივმა ძალებმა კოოპერაციის დაარსების საქმესთან ერთად, კოლექტიურის ძალებით უნდა ეცადონ და მიაწოდონ საჭირო საქონელი ცენტრებიდან გლეხების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ—რათა არ ჩავარდენ მევახშეების კლანჭებში.

ძველი მუშა.

ივლისის დღეები პეტროგრადში

3 – 5 ივლისში (ახალი-სტილით 16 და 18 ივლისი 1917 წელს) პეტერბურგში მოხდა გადატრიალების პირველი ცდა, რომელსაც ჩვენი რევოლიუციის პერიოდში დაერქვა სახელათ „ივლისის დღეები“. სწორეთ ამ დღეებში გამოვიდენ მუშათა და ჯარის-კაცთა უმრავლესობა ქუჩაში და მოითხოვდენ ძალა-უფლების გადაცემას საბჭოებზე, ასეთი დემონსტრატიულ გამოსვლით გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება დროებითი მთავრობისადმი. 18 ივნისს 1917 წ., როდესაც დროებითი მთავრობამ იგივე დამარცხება თავისი უტაქტიკო წინსვლით, და დასტოვა ბრძოლის ველზე უთვალავი მსხვერპლი, მაშინ სცადა გაეყვანა პეტერბურგიდან ფრონტზე რამოდენიმე ნაწილი, მაგრამ ასეთმა ცდამ ვერ მიაღწია მიზანს და 3 ივლისს გამოიწვია დიდ ქარხნებში გაფიცვები. ამავე მიზეზით გამოვიდნენ ქუჩაში მუშები და ჯარისკაცები შემდეგი ლოზუნგებით. „ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი“, „ეს-“ წყდეს შეტევა“, „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს და მუშათა და გლეხთა დეპუტატებს“ და სხვა.

ასეთივე რეზოლიუცია მიიღო პეტერბურგის საბჭოების მუშათა სექციებმა. ბოლშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი დადგენილება, რომ ასეთი გამოსვლა უნდა ჩატარებულიყო მშვიდობიანათ, მაგრამ დემონსტრაციებს დაუშინეს ტყვია, რის გამოც მოემატა მსხვერპლს მსხვერპლი. გაფიცულებს მოემატა კრონშტატის მეზღვაურები და სხვა მუშათა ძალა, ასე რომ მთელი რიცხვი დემონსტრატებისა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შესდგებოდა 500,000 მუშისაგან. ჯარის ნაწილებიდან და მეზღვაურებისაგან. შეშინებულმა მთავრობამ მაშინათვე გასცა განკარგულება მობილიზაციის მოხდენის შესახებ, რითაც თავი მოუყარა იუნკრების და ყაზახების ნაწილებს, რომლის წყალობითაც გააჩაღეს ჩხრეკა და დაპატიმრება. მიანგრა-მოანგრიეს სტამბა და რედაქცია, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“ და სხვა ბროშურები. დროებითი მთავრობამ შეატყო, რომ ასეთი გამოსვლები იყო ორგანიზაციულათ მოწყობილი, ამიტომ გადასწყვიტა მიეღო მკაცრი ზომები ბურჟუაზიულ წრეებთან შეთანხმებით და მასთან ერთათ დაადგინა დატყვევება ამხანაგ ლენინის, ზინოვიევის, კამენევის და სხვებისა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ივლისის დღეებში ძალაუფლების ხელში აღებას.

ამიტომ ჩვენ შვიდი წლის თავზე ვიგონებთ დღევანდელ დღეს, როგორც ფაქტორს რევოლიუციისას.

მუშა-სიმონა

გულგრილობა თანამდებობის ასრულების დროს

მაღალმა ადმინისტრაციამ რკინის გზისა, საჭიროდ დაინახა, რომ ჩვენ ორქთლ-მავალთა ბრიგადებმა ვატაროთ მატარებლები თბილისიდან ლენინკანამდის, ვინაიდან დიდი სარგებლობას მოუტანს სახელმწიფო სალაროს ეს. თუმცა ღა მართალი არის, ეს მაგრამ გზებში ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ. მაგალითები: უკვეთს ორთქლ-მავალს საყუდის მორიგე რევიზორს ოთხი საათით ადრე მატარებლის გამგზავრებამდის. საყუდის მორიგე ასრულებს თავის მოვალეობას მაგრამ ორთქლ-მავალი თავის ბრიგადით უცდის ორთქლ-მავალის გაყვანას, ორჯერ ოთხ საათს და კიდევ მეტს. შემდეგ, როგორც არის გაჰყავს ორთქლ-მავალი სადგურში. მივემგზავრებით ნავთლულში, იქ მისვლისას რას ვხედავთ? მატარებელი ჯერ შემდგარი არ არის, წასასვლელი რონოდდები სად დგანან არ იცინ, მზათ არის თუ არა მატარებელი? ის გიპასუხებს: ეხლა გადმომცა განყოფილებამ მატარებლის №, დანიშვნა, ჩემი რა ბრალია, ადრე გადმოეცა და შევადგენდითო. ეხლა დაიწყეს შედგენა მატარებლის, სულ მცირე უნდებიან 2—3 საათი, სანამ გავემგზავრებოდეთ ნავთლულიდან. (იხილეთ სადგურის სამაგიდო წიგნი) ნუ თუ დასაჯერებელია ის, რომ ყოველთვის განყოფილება გვიან ატყობინებს სადგურებს დანიშვნას?

მივედით სანაინში. სანაინის მორიგე ამბობს მე არც კი გამია მაგ მატარებლის დანიშვნა, სანამ ალავერდმა არ მომთხოვა გზა, თორემ ამ დენ ხანს გამოუძახებდი მემუხრუჭეებსო. ვდგევართ სანაინში 2—3 საათი. ხან მემუხრუჭეები სულ არ არიან და მოელიან, ან ეხლა თხოულობენ კარაკლისიდან გამოგზავნონ საჩქაროდ რომელიმე მიმწოლი ორთქლ-მავალი, მოდიან მემუხრუჭეები. თხოულობენ მოსვენებას, ანდა მიმწოლი ორთქმავალი არა ყავთ, ჩვენ კი ვდგევართ და ველოდებოდით. განა სადგურები მართალს ამბობენ? არა, ყოველად დაუშვებელი არის, რომ განყოფილება მატარებელს №. ნიშნავს და ასლს ტელეგრამისას არ აგზავნიდეს ყველა სადგურების სახელზედ თუ ერთხელ დაავიწყდა და ტელეფონით გადასცა სულ მუდამ მაინც არ დაავიწყდებოდა. გამოდის, რომ იმდენს გვიჭერენ ეს ორი სადგური მაინც უშედეგოთ, ნავ-

თლული და სანაინი, რომ თამამად შეგვიძლია გავიაროთ ნახევარი გზა ექვსი საათის განმავლობაში.

ეს ორი სადგური არის ჩვენთვის ამოუმშრალებელი წუმპე, ბოლოს გამოდის დასკვნა: გაჩუმდი, აღლუმის ბარათს ან ცხელი რეზერვისას მოგცემთო, თითქო ამით დიდ ნუგეშს გვაძლევენ. ჩვენც ვდგევართ გამოურკვევლად. ბევრი ძიების შემდეგ დამნაშავენი აღარავინ არ გამოდის მოძრაობის დარგიდან და ირკვევა, რომ ჩვენ ვართ დამნაშავენი, რომ ვდგევართ.

ეხლა ვეკითხები იმ რევიზორებს, რომლებიც უწევენ კანტროლს სადგურების მაგიდების წიგნებს, ექცევა თუ არა ამას სათანადო ყურადღება? ეს კი ვიცი, რომ თუ ჩვენის მხრით არის დაგვიანება ხუთი წუთიც კი, მაშინვე მოვა ბარათი მიზეზის გამოსარკვევად. საჭირო არის მიექცეს ამას სათანადო ყურადღება, ვისიც ჯერ არს სამსახურის აღსრულების დროს საქმეს გულ-გრილად მოქცევას, ვინაიდან ასეთი გულ-გრილობით და ცუღლუტი მუშაობით ჩვენი ტრანსპორტი თანდათან ეცემა აწევის მაგიერ.

მემანქანე.

კედლის გაზეთი სოფლად

ქალაქად თითქმის ჩვენს ყველა ქარხანა დაწესებულებებში არსებობს კედლის გაზეთი შინაურ ცხოვრების გასაშუქებლად. ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ კედლის გაზეთის საშვალებით სწორდება ბევრი ნაკლი და დიდი ცვლილებებიც ხდება დაწესებულებებში. ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ სოფლის სინამდვილე, სადაც არა თუ კედლის გაზეთი, არამედ ჩვეულებრივი ყოველდღიური გაზეთიც კი არ მიდისთ. ასეთ პირობებში კი ჩვენთვის აუცილებლივ საჭიროებას წარმოადგენს კედლის გაზეთის გამოცემის მოწყობა უფრო სოფლად, ვინემ ქალაქად. განხორციელება სიძნელეს წარმოადგენს ადგილობრივ ძალების არ ყოლის მხვრივ, მაგრამ არც ამ ნაკლმა უნდა შეაფერხოს საქმე, თუ შივიღეთ მხედველობაში მისი აუცილებლობა. ძალები სოფლად ყველგან თუ არა, ზოგიერთ სოფლებში მაინც მოიპოვებიან. და სწორედ ასეთი ადგილებიდანაც შეიძლება საქმის დაწყება. საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელობა ცენტრალურ ორგანოებიდან, რომ დაიწყოს გამოცემა, და რაკი დაიწყება რომელიმე სოფელში, ხალხი გაიცნობს მის შინაარს, მაგალითს აიღებენ სხვაგანაც და გავრცელდება კიდეც კედლის გაზეთის გამოცემა სოფლად ისე, როგორც ეს არის დღეს ქალაქად, მასალები კი სოფლის სინამდვილეში ბევრია.

აგერ დღეს ტარდება საერთაშორისო კოოპერაციის დღე. ხვალ-ზეგ ჩვენ უნდა ჩავატაროთ ერთიანი სასოფლო გადასახადი. ორივე ამ მნიშვნელოვან იდეების გასატარებლად ჩვენ გვჭირია საპროპაგანდო სანდო ძალები და საამისო იარაღიც. აი ამ უკანასკნელ შემთხვევაში უდიდეს სამსახურს გაგვიწევს სწორედ კედლის გაზეთი. რაც შეეხება გამოცემას, ეს სრულიადაც არ უნდა გვაფიქრიანებდეს ვინმეს. არ გვინდა არც სტამბა, არც რომელიმე საბეჭდი მანქანა. საკმარისია ხელთნაწერი ჩვეულებრივი საწერ ქაღალდის ზომით გაშვებული კედლის გაზეთი, რომელიც თანდათანობით შეიძლება გადიდებულ და გაუმჯობესებულ იქმნას შემდეგში. დღეს კი საჩქაროდ უნდა შევუდგეთ საქმის განხორციელებას გარეშე ძალების შემწეობით.

ამიტომ დაუყონებლივ უნდა შეუდგეთ ამ საქმის მოგვარებას.

ძველი მუშა

მოწერილი ამბები

გარე-კახეთი (სართიჭალა)

22 ივნისს გარე კახეთში, სართიჭალაში, მოხდა ყოფილი მენშევიკების, ყოფილი გვარდიელების და ახალ-გაზრდა მარქსისტების კრება. მიუხედავად ავდრისა და წვიმებისა, გარე-კახეთის ყველა სოფლებიდან მოვიდენ ამხანაგები. მხოლოდ გომბორიდან არავინ მოსულა, ვინაიდან გომბორს ვერ ვაცნობეთ.

კრება გახსნა ამხ. ვანო მაისურაძემ. მოხსენება გააკეთა ამხ. ფარნიევმა. ამხ. ფარნიევმა გააცნო ამხანაგები საბჭოთა ფედერაციის სინამდვილეს, მისი დამოკიდებულებას ევროპის სახელმწიფოებთან, მუშათა მდგომარეობას საბჭოთა რესპუბლიკებში. გაარჩია ეს მდგომარეობა და სთქვა, რომ მიუხედავათ ბევრი სინაკლულისა დღეს მუშათა საკითხი იმდენათ მოგვარებულია, რომ მუშა გრძნობს თავს სახელმწიფოს პატრონ პატრონათ, რასაც არა აქვს ადგილი ევროპის სახელმწიფოებში. შეეხო ამხ. ფარნიევი ნოე ჟორდანიას წერილს, გაარჩია ის, აღნიშნა ამ წერილის სისუსტე. ჩვენს სინამდვილეს ჩვენვე ხომ უკეთ ვხედავთ, ვინემ გედავს პარიზში მყოფი ადამიანი. მან ალბათ არ იცის თუ რა დიდი აღმშენებლობითი მუშაობას ეწევა საქართველოში საბჭოთა ხელის უფლება, როგორ წაიწია წინ ჩვენმა სოფელმა ამ მხრივ. და იმის თქმა, რომ მთავრობა, საბჭოთა მთავრობა სოფელს არაფერს აძლევსო, ან მოფიქრებული სიცრუეა, ან ყალბი ინფორმაციის შედეგიო.

ამხ. ფარნიევის შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ტფილისის კომპარტიის ცეკის წარმომადგენელმა ამხ. აკოპოვმა. ილაპარაკეს აგრეთვე რაიპარტკომის სახელით ამხ. ფირიაშვილმა, სეხნიაშვილმა. ყოფილ მენშევიკების და გვარდიელების სახელით ილაპარაკეს ამხ. იოსებ ხუროშვილმა, ხაშმელმა და სხვებმა, რომელნიც მოუწოდებდნენ ამხანაგებს მტკიცეთ დამდგარიყვენ ახალს გზაზე და ჩაბმულიყვენ კომუნისტებთან ერთად მუშაობაში.

ამხ. ხაშმელმა მიუთითა ამ მუშაობაში სიფრთხილისაკენ, რომ არ შემოგვეპაროს არასასურველი პირები, როგორც მაგალითად, შეეპარა კომუნისტებს ძველი ნიკოლოზის ჟანდარმები: თეიმურაზ ქორქაშვილი და იაგორ ყურკაციაშვილი. ყოფილ მენშევიკებს ის დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი მოსვლის შემდეგ ასეთ მოვლენებს აღარ ექნება ადგილი.

დასასრულ ილაპარაკა ამხ. მაისურაძემ საერთაშორისო მდგომარეობაზე და ბოლოს ყოფილ მენშევიკების, ყოფილ გვარდიელების და ახალგაზდა მარქსისტების სახელით გადასცა ამხ. ფირიაშვილს ძველი დროშა.

კრებამ ერთხმათ მიიღო 1923 წ. 25 აგვისტოს მენშევიკური პარტიის ყრილობის რეზოლიუცია და მოუწოდა ყველა მერყეე ამხანაგებს ამოუდგენ გვერდით მუშურ-გლეხურ მთავრობას და მისს ბელადს კომპარტიას, რათა დაცულ იქნეს მრავალ წლების ბრძოლით მონაპოვარი რევოლიუცია მუშებისა და გლეხების გასახარათ და კაპიტალისტების დასასამარებლად.

კრებამ აღნიშნა, რომ 1903 წელს პარტიის გათიშვამ მენშევიკებათ და ბოლშევიკებათ გაახარა ბურჟუაზია, ხოლო 1923 წელს კვლავ გაერთიანება ძირს გაუთხრის და მოჭკლავს ბურჟუაზიას.

—გაუმარჯოს საერთო ენას, რომელიც გამოინახა ერთ ოჯახში ორათ გაყოფილ ძმებს შორის!

—გაუმარჯოს III ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესს!

—გაუმარჯოს ახალ გზაზე შეგნებულად დამდგარ ამხანაგებს!

ამხანაგების დავალებით გლეხი

ვ. მაისურაძე (ტურა)

ქ. ხონი.

შევისწავლოთ ლენინიზმი.

თუ გვინდა ნათლად და გარკვევით შესწავლა ლენინიზმისა, უპირველეს ყოვლისა უნდა შევისწავლოთ მარქსიზმის ფილოსოფია, ე. ი. უნდა ვიცოდეთ რა არის მატერიალიზმი და რა არის იდეალიზმი, რომ ამით გავიგოთ ლენინის გენიალობა და გავირკვიოთ გზა კომუნიზმისაკენ. ჩვენი პარტიის ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს დიალექტიკა და დიალექტიკური აზროვნება. მით უმეტეს დღეს, როდესაც მთელი სახელმწიფოებრივი კულტურული და სხვა საქე ჩვენი პარტიის ხელთ არის, ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს უნდა ვირკვევდეთ გზას მარქსიზმის საშვალებით. მარქსიზმი და ლენინიზი, ლენინიზმი და მარქსიზმი ეს ორი მცნება, ორივე ერთმანეთთან გადახლართულნი არიან, ორივე ერთი-მეორეს დამატებაა. ე. ი. თეორია და პრაქტიკა. თუ გვინდა მარქსიზმის თეორიის განსახიერება ცხოვრებაში აუცილებლივ უნდა შევისწავლოთ ლენინიზმი. მარქსიზმის ფილოსოფიის შესასწავლათ მოგვეპოვება სახელმძღვანელოები: ბუხარინის ისტორიული მატერიალიზმი, პლეხანოვის მონისტური შეხედულება ისტორიაზე და პოლ ლაფარგის ისტორიული მატერიალიზმი და სხვა. ლენინიზმის შესასწავლათ უკვე ითარგმნება და მოკლე ხანში გამოვა 25 ტომამდე ლენინის საუკეთესო ნაწერები, რომლის საშვალებით ჩვენ შეგვეძლება შევისწავლოთ ლენინიზმი. ამა თუ იმ ადგილას ყოველ პარტ-უჯრე-

დებში შეიძლება ხუთი თუ ათი მოწინავე ამხანაგებისაგან ჯგუფების დაარსება და ამ ჯგუფებში ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოებით კარგი ხელმძღვანელი პროპაგანდისტის საშვალებით შეგვიძლია შევისწავლოთ, როგორც მარქსიზმის ფილოსოფია, ისე ლენინიზმი.

მაშ, ამხანაგებო, **შევისწავლოთ ლენინიზმი.**

მ. გალდავაძე.

აფხაზეთი

გახრწნაც ასეთი უნდა

როდესაც ადგილობრივმა მენშევიკებმა დაინახეს, რომ პატიოსან მუშების და გლეხების რიგების ოლ ვეა ჩქარის ტემპით დაიწყო და ყველა თითქმის დადგა საბჭოთა სისტემაზე, ერთი მუჭა გაწყენებულ ინტელიგენციამ, წვრილ მოვაჭრეებმა, სპეკულიანტებმა და გაბრიყვებულ თითო ოროლა მოწაფეებმა, რომ ვითომ აემაღლებიათ გახრწნილ მენშევიკურ პარტიის პრესტიჟი, გამოუშვეს ვითომ და „რევოლიციონური“ მოწოდება ოჩამჩირის მოქალაქეებისადმი: ხელში მაქვს ეს მოწოდება და მომყავს, რამოდენიმე მეტად საყურადღებო, ყველასათვის ჩამაფიქრებელი უაღრესად კონტრ-რევოლიციონური, აღმაშფოთებელი ადგილები ამ პროკლამაციის:

ამხანაგებო ის ამაღელვებელი პროკლამაცია, რომელიც ოჩემჩირეში ღამით გააკრეს, შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ეს ჩემი შეთხზული, გამოგონილი იყოს, მაგრამ მე ასეთი საზიზღრობის შეთხზვა არასდროს არ დამჭირებია.. და ვისაც უნდა ამ პროკლამაციის ნახვა, შეუძლია მიბრძანდეს აფხაზეთის ჩეკაში და იქ წაიკითხოს, რადგან დედანი იქ ინახება.

მეც არ მჯეროდა, სანამ ჩემი თვალებით არ წავიკითხე, არ სჯეროდა ეს თვით ამხანაგ რომუნისტებსაც და ბევრი მათგანი მეუბნებოდენ: „აქამდე არ გაიხრწნებოდა ეს ოდესღაც რევოლუციონური პარტია“-ო, მაგრამ რას იზამ? „კალმით დაწერილს, ნაჯახით ვერ ამოჩეხთ“, პროკლამაციის გამკვრელებიც დაჭერილი არიან, რომლებიც გამოტყდენ დანაშაულში. გული კვდება, როდესაც ასეთ უსირცხვილო პროკლამაციას კითხულობ და სწუხარ, როგორ გახრწნამდე მივიდა ეს ოდესღაც რევოლიციონური წარსულით მდიდარი პარტია. მე პირველათ ეს პროკლამაცია ნაციონალ- დემოკრატების დაწერილი მეგონა, რადგანაც სათარუის კილო მათ ენაზე არის დაწყებული. მაგრამ, დღეს რაღა განსხვავებაა მათ შორის?.. მხოლოდ დაგრწმუნდი, რომ ეს პროკლამაცია მენშევიკების იყო მაშინ, როდესაც წავიკითხე: „გაუმარჯოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიას“ ო, შემდეგ კი ამ პარტიის „რევოლიუციონური“ ლოზუნგია „გაუმარჯოს საქართველოს ტახტს“ ო, რომელ ტახტზეა აქ ლაპარაკი, ნუ თუ ნ. ჟორდანიას წერილმა იმდენი იმედიანობა დაგიბადათ, რომ ტახტზედაც კი დაიწყეთ დღეს ოცნება?.. ცოტა ქვევით თვალს ჩააყოლებ და კითხულობ „გაუმარჯოს კერზონის ულტიმატუმს“ ო. ბიჭოს, ეს ვაჟბატონები ომის გუნებაზედაც კი მოსულან და სისხლიც სწყურიათ, მაგრამ ეცადეთ, რომ მშრომელი ხალხის რისხვამ თქვენივე სისხლში არ ჩაგახრჩოთ. მაკდონალდმა, რომ აიღო ძალა უფლება ხელში, ეს ვაჟბატონები გაიძახოდენ, თქვენი დღეები დათვლილიაო და მაკდონალდსაც, რასაკვირველია, ქება და ხოტბას ასხამდნენ... დღეს კი, როდესაც მაკდონალდმა სხვა კილოთი დაიწყო ლაპარაკი, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან.. ეს ვაჟბატონები უმადური მაკდონალდის პოლიტიკით, კერზონში ეძებენ გამოსავალს...

მაგრამ რა ჰქნან, როდესაც ამ ქვეყნის პარაზიტ-ბელორუჩკებს და მათ მიერ გაბრიყვებულ თით ოროლა უგუნურ მოწაფეებს გული გაუტყდათ, რადგან თითონ, თავის თვალებით, დაინახენ, რომ საქართველოს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი, სამუდამოთ ჩამოშორდა ასეთ ავანტიურისტულ გზას. აბა ვის უნდა დაყრდნობოდნენ?.. დიდ ძებნის შემდეგ ნახეს საქართველოს ტახტი და კერზონის ულტიმატუმი.

სირცხვილი იმ პატიოსან მუშას და გლეხს, ვინც ამის შემდეგ განაგრძობს კიდევ მერყეობას და მიჰყვება ასეთ ავანტიურულ პროვოკაციულ ლოზუნგებს:

„ძირს მუშათა დიქტატურა—გაუმარჯოს ტახტსო“.

ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, როდესაც ვტოვებდით მენშევიკურ პარტიის რიგებს, რომ ამიერიდან ეს „წმინდა“ კავშირი კონტრ-რევოლიუციისა, მივიდოდა იქამდი, სადაც დღეს მისულა ეს ვაჟბატონები... ამისთვის ჩვენმა მოწინაღმდეგეებმა აბა, რა სახელებით არ მოგვნათლენ, მაგრამ დღეს სირცხვილი იმათ, რადგან ჩვენი ნაწინასწარმეტყველები და ჩვენი გზა სწორი გამოდგა.

აბა, რომელი ბრიყვის მეტს შეუძლია დღეს საქართველოს ტახტზე ფიქრი, თუ არ ისეთ ავანტიურისტებს, რომლებიც კიდევ დარჩენილან ამ გახრწნილ პარტიის ხ ლმძღვანელად. ვითომ ეს ვაჟბატონები ერის საქმეს აკეთებენ?.. რომელ ერისას?.. თავად-აზნაურულ და ბობოლა ვაჭრების ბანდებისას?.. ამისთვის შეიძულეთ მუშათა კლასი?!. ბანდები ამჯობინეთ მშრომელ მასებს?!. ასეთ აღმაშფოთებულ მაგალითების შემდეგ მაინც უნდა იცოდნენ მშრომელმა მასებმა ვინ არიან მათი მტერ-მოყვარე. და დღეს სავსებით გახრწნილ მენშევიკურ პარტიას სავსებით უნდა ჩამოშორდეს კიდევ თუ ვინმე ყოყმანშია ჩვენი ამხანაგები და მოვიდნენ ჩვენთან. იმათ კი, ვინც ასეთ პროკლამაციებს ავრცელებენ, თავიანთ ბანდიტების საშვალებით და ტკბილი ჭორებით ,ცვებავენ ვინმეს, ღირსეული პასუხი უნდა გასცეს მშრომელმა ხალხმა.

ილიკო ჯუღელი.



ღანირ-ჭაგანი.

(სამტრედიის რაიონი)

ამ თემის არსებობის შესახებ მრავალი წერილები იწერებოდა გაზეთებში.

ეს ის თემია, რომელსაც თავისი მოკლე წარსულით პირველი ადგილი უჭირავს მთელ სამტრედიის რაიონში. ჯერ კიდევ 1918 წ., როცა ძალი პატრონს ვერა ცნობდა და ყოველი სოფელი პოლიტიკურ გაუგებრობაში იყო, ღანირ-ჭაგანმა გამოიჩინა საოცარი შემოქმედებითი ძალა.

დღეს მას აქვს: ბაზარი (ვრცელ და მშვენიერ მოედანზე) შრომის სკოლა, ორკლასიანი სასწავლებელი, სამკითხველო, კოოპერატივი, ტელეგრაფი, საექიმო პუნქტი, სახერხი ქარხანა, ფარდული, ბაღი და უკვე დაწყებულია თეატრის შენება, რომელიც დიდ თანხას თხოულობს და რომელიც მოკლე ხანში დამთავრდება. ქვიტირის თემი ცდილობს როგორმე დაშალოს ეს სიცოცხლით და ენერგიით სავსე საზოგადოება. ვნახოთ მომავალი რას გვეტყვის. ერთი კი ცხადია: ამ თემის დაშლა —ქვიტირზე მიწერა—ეს იქნებოდა გაუგებრობა, თემის ერთ წერტილზე გაყინვა და ადგილებულ უნარის შეჩერება.

ეს არც არსებულ ხელისუფლებისათვისაც იქნებოდა კარგი. მთავრობის მიერ გაგზავნილი კომისიაც უსათუოდ ამ აზრის უნდა იყოს, როცა თავის თვალით აქვს ნახული და გამოკვლეული ყოველივე. მაინც ჯერ კიდევ მისგან ვერ ზოვისმინეთ უკანასკნელი დასკვნა. ღანირ-ჭაგნის აღმასკომისათვის ბეჭედი კიდევ არ დაუბრუნებიათ, თუმცა ფაქტიურად თემი არსებობს და კვლავ დაუღალავ მუშაობით აკეთებს სახელმწიფოებრივ საქმეს.

ჩვენ ველით სიმართლეს.

ორიოდე სიტყვა თეატრზე.

ღანირ-ჭაგნის თეატრის საამშენებლო კომისიამ დაუგზავნა მოწოდება ამ თემიდან გასულ პირებს თეატრისათვის ფულის შეკრების შესახებ.

მაგრამ, როგორც მესმის, ამ დიდ საქმეს ისინი გულგრილათ ხვდებიან.

საჭიროა ამოძრავება. „აუცილებლად უნდა შევქმნათ ღანირ-ჭაგნის დამხმარე საზოგადოება“, რომელიც შეძლებისდაგვარად გაუწოდებს ხელს თავის სოფლის წინმსვლელობის გზას.

მოუწოდებ, ღანირ-ჭაგნიდან ტფილისში მყოფ ამხანაგებს მუშაობისაკენ.

ჭ—ლი ბ—კი

„ჩემი შენიშვნა“

მე წავიკითხე ამხ. არჩ. რუხაძის წერილი ყოფილ მენშევიკების შესახებ, მას მიზანშეწონილად მიაჩნია ყოფილ მენშევიკებს ეწოდოს „კომპარტიის თანამგრძნობნი“. ამ აზრს ვეთანხმები იმ მხრივ, რომ სახელი უნდა გამოვიცვალოთ, მხოლოდ არ ვეთანხმები ასეთ სახელწოდების მითვისებას, რადგან ის ვერ გაგვარჩევს ჩვენ სხვა თანამგრძნობისგან, უკანასკნელთა სიაში კი ძლიერ ბევრი ეწერება, ბევრი ფაქტიურად არა თანამგრძნობი, არამედ კონტრრევოლიუციონერი. ერთი სიტყვით ეს სახელი გამოიწვევს არევ-დარევას. მაგ. ჩვენ, გორის მაზრაში გვაქვს პარტიულ კომიტეტთან სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს ყოფილ მენშევიკთა შორის. ჩვენ თუ ვუწოდებთ ყოფილ მენშევიკებს თანამგრძნობებს, მაშინ კომისიამაც უნდა იმუშაოს მთელს მასსაში, რადგან თანამგრძნობთა რიცხვი ამ ჟამად უმრავლესია ასეთ მრავალ უხერხულობას შეჰქმნის ეს სახელწოდება. მე სავსებით ვეთანხმები ამხ. „ჰამლეტი“-ს აზრს, რომელიც იყო გამოქვეყნებულ ჟურ. „სიმართ. ხმის“ № 31-ში და საჭიროთ მიმაჩნია დავირქვათ სხვა რაიმე სახელი.

—შ—ა.

პროვინცია უყურადღებოთ არის დარჩენილი.

მე მომიხდა გავლა ახალ ქალაქის რაიონის რამოდენიმე სოფელში. სხვათა შორის დამაინტერესა ყოფილ-მენშევიკების მუშაობამ. მაგალითად კავთის-ხევის თემში ვინახულე ყოფილი მენშევიკი ამხ. არაქელოვი ვანო, რომელსაც ველაპარაკე თუ რანაირი მუშაობა და დამოკიდებულობა აქვთ ცენტრთან, მათ თემში რამდენი იქნება ყოფილი. მან მიპასუხა შემდეგი: აქ ვიქნებით სულ 52 კაცი, ჩვენ ყოველისმხრივ მოწყვეტილნი ვართ საქმესთან და არ ვიცით თუ რა ხდება და რა კეთდებაო. არც ჩვენი ორგანო „სიმართლის ხმა“ მოდისო. მხოლოდ ერთხელ იყვნენ გორიდან ამხ. ჩუტკერაშვილი და მურადოვი, რომელთაც ჩაატარეს საღიკვიდაციო ყრილობა და შემდეგ არაფერი გაუგიათ. არც სცოდნიათ თუ რა წერილი იყო ნოე ჟორდანიასაგან და რანაირი პასუხი მიიღო. ეს არ იციან იმიტომ, რომ საქმე ვერ არის სათანადოთ დაყენებული.

ასეთივე უყურადღებოთაა დატოვებული ახალ ქალაქი და მის ახლო მდებარე სოფლები, სადაც იქნება 300 კაცი, მათაც არაფერი არ იციან და აუცილებელია ასეთ რაიონებს მიექცეს ყურადღება, ვინაიდგან უმეტესი ძველი თავად-აზნაურული ელემენტები ამ რაიონში ბუდობს და ასეთი უყურადღებობით ადვილი შესაძლებელია მათი გათქვეფა ან და პოლიტიკურათ სიკვდილი.

აუცილებლივ უნდა გაიგზავნოს, როგორც ახალქალაქის რაიონში, ისე დანარჩენ მიყრუებულ სოფლებში პასუხისმგებელი ამხანაგები, რომ მოუყაროს თავი ყველას და გააცნონ მათ ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს და გაეგზავნოს მათ ყოველთვის ჩვენი ორგანო „სიმართლის ხმა“.

მუშა სიმონა.

თელავი.

29 ივნისს, დღის 11 საათზე, მუშათა კლუბში შესდგა ქ. თელავის ყოფილ მენშევიკების კრება.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ხითაროვი, მდივნათ კ. ღიბრაძე.

საინიციატივო ბიუროს მიერ წამოყენებული იყო შემდეგი დღის წესრიგი:

I. მოხსენება ნ. ჟორდანიასგან მიღებულ წერილის გამო.

II. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. და

III. მიმდინარე საკითხები. ნ. ჟორდანიასგან მიღებულ წერილის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. დავითიანი, რომელიც მკაფიოთ ახასიათებს მთავარ მუხლებს, რაც საინტერესო იყო არსებითად, უპირდაპირებს სტატისტიკურ ცნობებს ნ. ჟორდანიასგან მოწერილ შრალ სიტყვებს და შესაფერი დასკვნაც გამოაქვს. მომხსენებელს მისცეს კითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი გასცა.

ამის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ქვემოდ იბეჭდება და ამით დაადასტურა ცენტრალურ ბიუროს და 43 ამხანაგის მიერ გაკეთული პასუხი.

უიმედო იმედები.

I.

კარგია და საჭირო იმედი. ის ადამიანს ძალას მატებს, ენერგიას ულვიძებს, მეტი მოქდებებისკენ იწვევს. პირადი ცხოვრებაში იმედი აუცილებელია. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს მას.

მაგრამ გადაჭარბებული იმედი, უსაფუძვლო იმედიც არ ვარგა. როდესაც შენს საქმიანობას ამყარებ ისეთს იმედზე, რომელსაც სასიცოცხლო ნიადაგი აღარა აქვს, ცხოვრების მოთხოვნილებებით და ლოღიკით არ არის გამოწვეული, არამედ ავათმყოფური ფანტაზიით, მარტო სურვილებით ან ყინით, მაშინ ცუდათაა საქმე, მაშინ საშიშია ასეთი იმედით გამოწვეული საქმიანობა.

ამ მხრივ უცნაურ მოვლენას აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში. უცნაურს, ყოველგვარი ლოღიკის გარეშე მდგომს, მიუღებელს საღი პოლიტიკური აზრისათვის, ხოლო მომაკვდინებელს ცოდვას ეროვნული თვალსაზრისით.

ალბათ ჩვენი მკითხველის ყურამდეც მიაღწევდა ის ხმა, რომელზეც მე მინდა ვილაპარაკო. ეს ხმა აი რას ამბობს:—მოითმინეთ ცოტა, ეს ზაფხული მოითმინეთ; შემოდგომაზე, სექტემბერში მაგალითად, **მოვლენ** და ან გარეკენ „ამათ“, ან ნებით წავლენ ესენო“...

ვიკითხოთ, საიდან მოდის ეს ხმა, ეს ჭორი? ვინ თხზავს მას? ვისი ლაბორატორიაში მუშავდება ეს ღვარძლი წმინდა თესლის და უბიწობის ნაჭუჭში გახვეული? ვისთვისაა ხელსაყრელი ასეთი ხმის გავრცელება?

იქ, იქ თხზავენ ამ ხმებს—პარიტეტულ კომიტეტში თუ არალეგარულ ცეკაში. იქ ბერს ეს შხამიანი ქარი, ეს შხამიანი ჰაერი იქიდან ინძრევა.

— ბენია ჩხიკვიშვილი ტყუილათ კი არ ჩამოსულა, თურმე საქმე მოგვარებულიაო. — ასეთი ხმებიც გავიგონე.

ეს კი ვინ შეთხზა?—ეს კი ქუჩამ შესთხზა, უსაქმო, მოლაყბე, მეპორე ქუჩამ.

ჩვენი „სიმართლის ხმის“ მე 32 №-ში მოყვანილი იყო ანგარიში ფოთის მუშების, ყოფილი მენშევაკების კრების. ამ კრებაზე ამხ. სოლომონ პაიჭაძეს განუცხადებია: არ ვარგა რევოლიუციისათვის ის მუშა, რომელიც ავტორიტეტს ეფარებაო. ასეთს მუშას, რომელი პარტიაშიაც არ უნდა იყოს ის, არავითარი ღირებულება არა აქვსო.

სოლომონ პაიჭაძე ძველი მუშაა, ჭაღარა და გამობრძმედილი რევოლიუციონერია. ერთი ასეთი მუშისთან, სიტყვა სჯობია ათეულს ჟურნალებს და სტატიებს რევოლიუციონურ საკითხებში. და ეს თვით რევოლიუციისათვის, იცოდეთ.

მართლაც, მიხვდა ძველი რევოლიუციონერი იმას, რასაც ვერ მიხვდა ახალი არალეგარული ცეკა. როდესაც ვინმე მოდის ერთან, ან კლასთან, ან რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფთან და ეუბნება მას: მოითმინე, იცადე, სხვა მოვა, როდის-დღე და ჟამი არ ვიცით, მაგრამ მოვა და გიხსნისო,—ეს კლავს ამ ერის, კლასის თუ ჯგუფის თვითმოქმედებას. ასეთ მოწოდებას და მეთოდს (და ეს კი მეთოდია არალეგარული ცეკასი) ის შედეგი აქვს, რომ ჩლუნგდება ნება, თანდათან ქვავდება და მყარდება ის აზრი, რომელიც ამბობს: შენი ცდა და მოთმენა სხვისი მოქმედებას გამოიწვევს შენი სასარგებლოთო. შენ ნუ იფიქრებ შენზე, შენზე სხვა იფიქრებსო. **ასეთი მდგომარეობა ქმნის მონურს ფსიქოლოგიას, მონურს გრძნობებსა და აზრებს. ასეთი მეთოდი ხალხს რყვნის,** რყვნის საშინლათ. მეოთხე წელია, რაც ასეთი ხმებით იკვებება ხალხი, მეოთხე წელია რაც ამ გზით მუშაობს ეს სატანური ჯოჯოხეთური ლაბორატორია და ამ მუშაობამ გარყვნა ხალხი. მე ვამბობ გარყვნა-თქო, ვინემ თავის მოკატუნება არ მინდა, სინამდვილეს თვალებს ვუსწორებ და ვიცი, რომ ეს ხმები სჯერა ბევრს, სჯერა. ბევრი ცოცხლობს იმითი. მე ვიცნობდი ერთ გლეხს, რომელიც ყანას არ ამუშავებდა ამ სამი წლის უკან, ის დარწმუნებული იყო: ჟორდანიას შემოუთვლია ჩქარა დავბრუნდები, არაფერი გააკეთოთ, სულ ერთია ბოლშევიკები წაგართმევენო. ამ ერთი თვის წინ კი ერთმა ამხანაგმა მითხრა—მართლა რომ დავინახო რუსთაველის პროსპექტზე ანტანტის ჯარები თითსაც არ გავანძრევ, იმდენი გვატყუილეს, რომ თვალებს არ დაუჯერებო. რა არის ეს თუ არა ხალხის გარყვნა? რა არის ეს, თუ არა საშინელი დანაშაული, მომაკვდინებელი ცოდვა ერისა და ჩვენი მუშათა კლასის წინაშე?... ასეთი „იმედები“ განა არა შხამავს ხალხს? განა არა კლავს მასში საქმიანობასა და მოქმედების უნარს? აბა დაჯდეს დღეს ჩვენი ხალხი გულხელდაკრეფილი, არა აკეთოს რა. ვისთვის იქნება ეს ხელსაყრელი?

—საქართველო ახალ-შენათ, კოლონიათ, გადაიქცაო,—გვეუბნებიან იქიდან.

—ჰო, შენ თუ ხელები დააკრეფიე ხალხს გულზე, გაარეგვენე ის, „ხვალეს-ხვალეს“ იმედებით მოუკალ მას დღევანდელი დღე. დაუწვი თვალები, რომ აეჭალას ელექტრო სადგური, ოზურგეთის რკინის გზა და აბაშის „ვოდოპადი“ც არ დაინახოს, ვისი ბრალი იქნება სხვა, უფრო მომქმედი, უფრო ნებიანი, უფრო ჭკვიანი, თუ გინდათ, დაგეპატრონოს? მე ვეკითხები ამ ლაბორანტებს: ვისი ბრალი იქნება ეს? თქვენ მიერეკებით ჩვენს ხალხს საბჭოთა აღმშენობლობიდან გარეთ და შემდეგ იძახით: ქართველებს დევნიანო. თქვენ შებოჭეთ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ნება და ახლა იძახით :გასაქანს არ გვაძლევენო. თქვენ არ მოდით ეროვნულ-კულტურულ ფრონტზე სამუშაოდ და დღეს იძახით: ჩვენი ენა იდევნებაო... ახ, თქვენ, დაფიქრდით რას სჩადიხართ! თქვენ იმეორებთ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკას: ილია ქალაქიდან სოფელში მიერეკებოდა ხალხს, ხოლო როცა ტფილისში სომხის ბურჟუაზია გაბატონდა, ილიამ მორთო ყვირილი—შეხეთ, სომხებმა შეგვჭამეს ქართველებიო.

ოდესღაც, ამხანაგებო „იქიდან“ და ბატონებო „პარიტეტულიდან,“ ოდესღაც ჩვენ კარგათ ვაფასებდით ამ პოლიტიკას, დღეს რა დაგვემართა? მარქსისტებმა მაინც „იქიდან“ რათ დაივიწყეს ასეთ პოლიტიკას. რა მოყვა? ახ, სანამდის უნდა მიიყვანოს ადამიანი ფანატიკოსობამ, რომ ნოე ჟორდანიას მოწაფის სახელი ატაროს და ნოე ჟორდანიასვე მიერ დაგმობილი ილიასებური პოლიტიკური გაამეოროს?!

2.

ერთხელ კირილე ნინიძემ უთხრა დიდს ნოეს —შენ პროლეტარიატის დაცვის მონოპოლია ხომ არ აგიღიაო; რატომ გგონია რომ მარტო შენ იცავ მას და მარტო შენ შეგიძლია ილაპარაკო მისი სახელითო... ახლა ვეკითხები ჩემს ამხანაგებს „იქიდან“: თქვენ, უიმედო იმედის მთესველნო, ქართველი ერის დაცვის მონოპოლია ხომ არ აგიღიათ? ან ვინ მოგცათ თქვენ ეს უფლება თქვათ—მარტო ჩვენ ვიცავთ ქართველ ერსო? ხომ არასოდეს არ მითქვამს მე ვინც დადგა 25 აგვისტოს პლათფორმაზე მხოლოდ ის იცავს ერს და რევოლიუციას მეთქი? ჩვენ მხოლოთ ამას ვამბობთ: ჩვენი გაგებით, ჩვენი აზრით ასე სჯობია, ეს გზაა უკეთესი, სხვა გზა სახიფათოა. თქვენ ვინ მოგცათ უფლება ეპისკოპოსივით რიხიანათ სთქვათ: მერმე და მერმე მხოლოთ ჩვენდა მიმართ ილოცეთო? ვინ გითხრათ თქვენ ან რით შეგიძლიათ დამამტკიცოთ, რომ საბჭოთა ძალა-უფლების დამხობას სამოთხე მოყვება საქართველოში? რომ აქ თხა და მგელი ერთად დაიწყებს ძოვას? მუდამ ეროვნულ საკითხებზე ლაპარაკობთ, ხომ? მაშ თუ მარქსისტობა შეგრჩათ ასე დავსვათ საკითხი: არის თუ არა ერი მუშათა კლასის გარეშე? რამ შექმნა ნაცია თუ არა თანამედროვე კაპიტალისტური წესის წარმოებამ? სად სთქვა მარქსმა—უეჭველათ, აუცილებლათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ფორმები უნდა ქონდეს ერს, რომ მისმა მუშათა კლასმა შესძლოს სოციალიზმის განხორციელებაო? —თანამედროვე კლასთა ბრძოლაში რევოლიუციის ბედ ილბალს სწყვეტს მუშათა კლასი, ის არის ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს სოციალიზმის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. და სოციალიზმი ხომ არაა „ეროვნული“ კათეგორიის საკითხი? სოციალიზმი ხომ სინთეზია, შეერთებაა მუშათა კლასის მოძრაობისა და ტეხნიკის უაღრესი განვითარებისა? მაშასადამე, გადამჭრელი მნიშვნელობა ეკონომიკას ქონია. და განა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა თუნდაც თავისი დროებითი ხვეულებით არ არის მიმართული მუშათა კლასის საკეთილდღეოთ? არ არის? ამას ხომ ვერ იტყვის ვერავინ, რომ დღეს საქართველოში ნაკლებია შესაძლებლობა ერის ეკონომიური და კულტურის აღორძინებისთვის ვინემ ამ ოთხი წლის წინეთ იყო? აბა გაიხსენეთ რა სთქვა ნოე ჟორდანიამ 1921 წლის 20 იანვრის ჩვენი პარტიულ კონფერენციაზე? მან სთქვა: ჩვენ უკვე მოვედით უფსკრულამდეო. ეს არ იყო ეკონომიკაში დამარცხება? დამპალს შავს პურს სჭამდენ მუშები მუშათა მაგიდიდან, ეს მაინც არ გახსოვთ? მაშ რისთვის არის საჭირო ამ უნიადაგო, უიმედო იმედების გავრცელება და სექტემბრის ლოდინი? განა ანტანტა აქ შემოვა თქვენ ან საქართველოს ლამაზი ქალების თვალებისთვის? პოლიტიკას ხომ არ უყვარს აშიკობა ლამაზ თვალებთან? პოლიტიკა ეკონომიკის შედეგია და განა დღევანდელი ეკონომიური ვითარება უკარნახებს ევროპას აუტეხოს რუსეთს ომი და დავიდარაბა ერთი მუჭა საქართველოს ტერიტორიისათვის? რა დაკარგვია მას აქ?—დამფუძნებელი კრება?—უკეთესი პარლამენტი არ არის ინგლისში? ჭიათურის ქვა ნახშირი?—მაგრამ ევროპა ახლაც ეზიდება მას აქედან. აბა რა, რა?

არა, არავინ არ მოვა აქ. ევროპის ბურჟუაზია ჭკვიანია და ასეთს სისულელეს არ ჩაიდენს. კაპიტალს მშვიდობიანი მდგომარეობა ესაჭიროება, ხოლო მშვიდობიანს მდგომარეობას ამ „ხმების“ გამართლება ვერ შექმნის საქართველოში. მაშასადამე, ლაბორატორია ვალდებულია მოსპოს ამ ხმების გამომუშავება...

3.

რჩება ერთი პირობა ამ ხმების სანიადაგოთ და ასახსნელათ. ეს არის „შინაური ძალებით განთავისუფლება“. კარგი და პატიოსანი. გავარჩიოთ ესეც. ვისგან შესდგება ეს „შინაური ძალები?“ ეკლესიებიდან გამორეკილი მღვდლები, ჩვენი ინტელიგენციის მოლაყბე ნაწილი, ახალგაზდობის ნაწილი, რომელიც შოვინიზმითაა გაჟღენთილი (თქვენცა და ჩვენც გვიძევს ამაში წილი), მეტი ვინ? გლეხობას მობეზრდა პოლიტიკა, ომი, მშვიდობიანობა უნდა მას, მშვიდობიანობა. მუშები? მაგრამ თქვენ ხომ მუშურ-პროლეტარულ ხაზზე ბრძოლისაკენ არ იწვევთ მათ? თქვენს „ეროვნულ ფრონტზე“ თავმოყრილია ერი, ბერი, მონაზონი, მიკიტანი, ყოფილი ფეოდალი. **ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენს ხაზზე არ არის გულწრფელი ხალხი, არა! არის ისეთი ჯგუფი, დარწმუნებულია ეს ჯგუფი თავისი სიმართლეში, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით შემცდარი და სახიფათოა მისი გზა.** „შინაური ძალებზე“ მას ერთობ გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. განწირულია ეს გზაც. ეს იქნებოდა უაზრო თვით მკვლელობა და ერის ღალატი. სამოქალაქო ომს თავისი ლოლიკა აქვს. მან არ იცის გარჩევა მტყუან-მართალისა. ეს გზა საქართველოს გადააქცევდა ყოველ ბნელ ძალთა სათარეშოთ. დაქცეულ სისხლში გველები აცურავდებიან, ხოლო უკეთესი მომავლის ვარდები არ გაიფურჩქნება. ვერ გამოადგება საქართველოს აღორძინებას ვერც მღვდელი თავისი უპატრონო ეკლესიის ზარების რეკით, ვერც ის მოკლე შარვლიანი ინტელიგენტი, რომელიც ბოლთას სცემს რუსთაველის პროსპექტზე, რომელსაც გველივით სძულს რევოლიუცია და მუშა. ახალგაზრდობა? ჰო, ეს წავა. მაგრამ რათ უნდა ემსხვერპლოს ის თვალდამწვარ პოლიტიკის საქმეს? არა სჯობიან შეძენილი კულტურით ერს ემსახუროს? რათ ხდით მას ბრმა იარაღათ? რათ ატყუებთ მას, მისი გულუბრყვილობას რათ იყენებთ ანტი-მუშურ საქმისათვის? ესეც დიდი დანაშაულია პროლეტარიატის და სოციალიზმის წინაშე...

4.

ამ ხმების კიდევ შესაზარი, შემაძრუწუნებელი ველური მხარე და შედეგი. ყველა ბოლშევიკმონათლულია რუსის სახელით. ბოლშევიკების აქედან „გარეკა“ და რუსების აქედან გარეკა ერთი და იგივე ყოფილა. რა საშინელს შურსა და მტრობას ქმნის და ზრდის ასეთი მიდგომა საკითხისადმი!..

საქართველოს ისტორიამ არ იცის პროგრომი, ჩვენი ფსიქოლოგიისათვის უცხო იყო სხვა ერის დამცირება, ზიზღი, საძულველი. ახლა კი იქმნება, ხელოვნურათ იქმნება ეს სამარცხვინო ველური განცთა. **არასოდეს არ ეპატიება ეს იმას, ვინც ქმნის ამის ნიადაგს. საზოგადოებრივმა აზრმა სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას ის ხელი, რომელიც სთესს რუს-ქართველობის კანიბალიზმს.**

აი, სანამდე მივუყვანივართ უიმედო იმედების გავრცელებას! აი რა კვაზიმოდური ბეჭედის დასმას აპირებს ეს უიმედო იმედი ქართველი ერის სინიდისზე და ქართველი მუშის შუბლზე!

ამხანაგებო „იქიდან“ და ყველა, ვისაც გიყვართ რევოლიუცია და საქართველო, დრო არ არის შეჩერებისა და გამოფხიზლების?

რ. ქორქია.

სიტყვას უეჭველად საქმეც უნდა მოჰყვეს.

ამ უკანასკნელ დღეებში პრესაში სერიოზული წერილები იყო მოთავსებული საბჭოთა დაწესებულების გენერალურ გაწმენდის შესახებ მავნე და ჰარამზადა პირებისაგან, რომელნიც თბილად მოკალათებულან ამა თუ იმ დაწესებულებაში, ან კოოპერატიულ საზოგადოებაში, აშკარათ—აქებ-ადიდებენ საბჭოთა ხელისუფლებას, მხოლოდ ფარულათ კი გულში ხელს იცემენ და მოელიან იმ ნეტარ დღეს, როდესაც ბოლო მოეღება მუშურ-გლეხურ ბატონობას და ისევ თვითონ იპარპაშებენ...

ასეთი პირები, ასეთი თაგვები ბილწავენ ასკოკიან ჭურებს და მათი დროზე ალაგმვა უნდა შესძლოს პროლეტარულ ხელისუფლებამ.

მან უნდა გავარვარებული რკინის ცოცხით გამოგავოს და ნაგავს გაატანოს ეს ვაგბატონები, თორემ თავის უპასუხისმგებლობით ჩვენ ბევრ საპასუხისმგებლო ოინებს მოგვახვევენ თავზე...

ჩვენ სპეტაკ და უმანკო დაწესებულებებში ბევრი არიან საპრონოვები, ვაწაძები, კოკაშვილები და ძმანი მათნი, რომელნიც ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ, როგორც ფუღურო ხის მატლები, ცდილობენ და ოცნებობენ პოლიტიკურ გადატრიალებაზე, რათა ამღვრეულ წყალში უფრო ადვილათ იჭირონ თევზები...

რასაკვირველია, ამათ შესახებ პროლეტარული სასამართლო შესაფერ განაჩენს გამოიტანს და მაგარ პასუხს აგებინებს, მაგრამ ამით მაინც ჩვენ იარას, მუწუკს მალამო არ დაედება როგორც ავღნიშნე კიდევ ბევრი არიან ასეთი პირები და აი სწორედ ამათ შესახებ უნდა იქნას მიღებული სერიოზული ზომები...

საილუსტრაციოთ მოვიყვან თელავს, რა ხდება აქ დღეს? ის, რომ გაიძვერა, ზხამიანი მოსისინე გველები დილიდან საღამომდე დაძრწიან ამა თუ იმ დაწესებულებაში, აწუხებენ ამა თუ იმ პასუხისმგებელ ამხანაგს, და სთხოვენ ალაგს; ეფიცებიან სინდის-პატიოსნებით, წვერ-ულვაშით, ცოლ-შვილით, რომ ისინი იმუშავებენ მეტათ ფაქიზათ, სინდისიანათ და უმწიკვლოდ...

მაგრამ, როდესაც ეს ჰარამზადა, უპასუხისმგებლო ცილინდრიანი და ულვაშ დაგრეხილი ვაგბატონები ჩაიგდებენ ამა თუ იმ დაწესებულებას, მშვიდობით მაშინ სინდის-პატიოსნებავ...

ისე შეესევიან, როგორც მშიერი მგლების ხროვა ცხვრის ფარაში... გაისქელებენ ჯიბეს, უბეს და მერე უყარე კაკალი, მიეცი სამართალში და სხვა...

ამას ერთ წამს მოურიგდეთ თუ გინდ, მაგრამ რას იტყვით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ნაციონალდემოკრატები, ვაჭარ-სპეკულიანტები ჩაებმეიან ხოლმე სამუშაოთ ისეთ დაწესებულებაში, როგორც მაგალითად კოოპერაცია და პროფ-კავშირება.

ეს კი მგონი უაღრესი შეცდომა და მიუტევებელია. ერთი მითხარით, როგორ შეიძლება არა სოციალისტი მსახურებდეს ასეთ დაწესებულებებში?

გუშინდელი (და იქნებ ეხლანდელიც) ეროვული დემოკრატი, რომლისთვისაც სოციალისტები კრამოლნიკები იყვნენ, დღეს როგორ გააკეთებს მათ სასარგებლოთ საქმეს?

არა. არა მჯერა თუ ასეთი პირები შესძლებენ პირნათლათ საქმის შესრულებას...

ჩვენი, ნ. ჟორდანიას მთავრობის დროს, იქნებ ვფიქრობდით ამა თუ იმ დაწესებულებების გაჯანსაღებაზე, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჩვენი სიტყვა არასოდეს საქმეთ არ ქცეულა, მაშინ არ გვიკეთებია სოციალუსტური — აღმშენებლობითი საქმე და, თითო ოროლას რომ კიდევაც გვდომნოდა, ვერ მოვახერხებდით.

რომ ჩვენი ყველა დაწესებულებები მაშინ თავადაზნაურების და ბიუროკრატ—ჩინოვნიკების ხელში იყო, აბა ვის გამოდენიდი იქიდან?

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარული მძლავრი მაჯა არავის არ ელოლიავება, არავისთან საფერო არ აქვს და ამიტომ ის, ისე ღონივრათ ამოჭკრავს ცხვირპირში ასეთ მავნე, გაიძვერა კარიერისტებს, რომ ოთხტოტათ სისხლი აქცევინოს...

დარწმუნებული ვართ, რომ სიტყვას უეჭველათ საქმეც მოყვება...

ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს...

ივ. დავითიანი

პოლიტიკური მიმოხილვა

(გვირიდან-გვირამდე)

* * *

ლონდონის კონფერენცია ჯერ კიდევ დიდ ყურადღებას იპყრობს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ, ლიტვინოვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან **გამოიტანა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლონდონის კონფერენციამ სწორი გზები გამონახა მის წინაშე მდგომ ამოცანების გადასაჭრელად. ლიტვინოვი დარწმუნებულია, რომ კონფერენციის მუშაობა წარმატებით დამთავრდება.**

ამხ. ლიტვინოვის აზრით, ინგლისის დაინტერესებული წრეები დარწმუნდენ, რომ ამაოა და წინდაუხედავობას ნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკებისათვის უკიდურესი მოთხოვნილებების წამოყენება. ისინი იწყებენ იმის გაგებას, რომ ვერავითარი საშუალებით ვერ აიძულებენ საბჭოთა მთავრობას აღორძინების გზაზე შემდგარ მეურნეობას მეფის მთავრობის ვალების გადასახდელად ახალი სიმძიმე დააკისროს და რომ კერძო პირები და დაწესებულებები, რომლებსაც ფულადი პრეტენზიები აქვთ ყოფილ რუსეთის იმპერიისადმი, შეიძლება დაკმაყოფილებული იქნენ ნაწილობრივ მხოლოდ იმ სარგებლობის ხარჯზე, რომელსაც მისცემს საბჭოთა რესპუბლიკებს საკმაო ფინანსიური დახმარების მიღება ქვეყნის ეკონომიური ძლიერების უფრო სწრაფად აღსადგენად.

შეთანხმებას ინგლისთან აბრკოლებდა ის გარემოება, რომ ევროპაში გაბატონებული იყო აზრი თითქოს საბჭოთა კავშირისათვის იმდენად საჭიროა სესხი, რომ სესხის მიცემაზე უარის თქმით შეიძლება მასზე ზეგავლენის მოხდენა და მისი დათანხმება მიღებულ პირობებზე.

ევროპაში თანდათანობით რწმუნდებიან ამ აზრის უსაფუძვლობაში და საკითხს უფრო ფხიზლად უცქერიან. ევროპაში ხედავენ, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია იარსებოს უცხოეთში დიდი სესხის მიუღებლადაც. მხოლოდ ჩვენი ეკონომიური წინსვლის ტემპი უფრო ნელი იქნება.

სესხის მიღებაში საბჭოთა რესპუბლიკები უფრთ ნაკლებ არიან დაინტერესებული, ვიდრე ინგლისის წრეები, რომლებსაც სურთ ნაწილობრივ მაინც იქნენ დაკმაყოფილებულნი მათი პრეტენზიები.

მოლაპარაკების მიმდინარეობა და ტემპი დამოკიდებულია ახლა სესხის საკითხის საბოლოოთ გადაჭრაზე. ამავე დროს სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა დელეგაციასა და ყოფილი იმპერიის კრედიტორებს შორის კრედიტის რაოდენობის გამოსარკვევად და მათი პრეტენზიების დაკმაყოფილების პირობების გამოსამუშავებლად. ყოველ შემთხვევაში მათთან მიღწეულ შეთანხმებას პირობითი ხასიათი ექნება და ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა დადებითად გადაწყდება საკითხი სესხის შესახებ.

მართალია, ეს კონფერენცია ერთობ გაჭიანურდა, მაგრამ, რაც დრო გადის, მით უფრო ირკვევა კონფერენციის შეთანხმებით დამთავრების შესაძლებლობა.

16 ივლისს ლონდონში დანიშნულია მოკავშირეთა კონფერენცია, რომელზედაც უნდა დაისვას მხოლოდ ექსპერტთა მოხსენებების განხილვის საკითხიო, მაგრამ იქ უსათუოდ ლაპარაკი იქნება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ და ერთგვარად დააჩქარებს ლონდონის კონფერენციის (საბჭოთა-კავშირის და ინგლისის შორის) კონფერენციის დასრულებას.

* * *

საკითხი ისე სდგას, რომ საფრანგეთმა ამ მოკლე ხანში უნდა იცნოს საბჭოთა კავშირი.

კითხვაზე შეეფერება თუ არა სიმართლეს ცნობა ერრიოსა და რაკოვსკის შეხვედრის შესახებ, ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ეს ცნობა მართალია და დაუმატა: რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა რამდენიმე კვირის საკითხია. ლიტვინოვი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი არავითარ წინასწარ პირობებს არ წარმოადგენს, რადგან ერრიომ იცის, რომ პუანკარეს ყველა ცდები საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის აღსადგენად იმსხვრეოდა სწორედ ამ წინასწარ პირობებზე, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა არ იღებდა წინეთ და არ მიიღებს ახლაც.

ლიტვინოვის ასეთ განცხადებას უსათუოდ აქვს საფუძველი. ჩვენ ამას წინეთ აღნიშნავდით, რომ პუანკარეს ხელშეკრულება დაუდვია ამერიკასთან ერთნაირად იმოქმედონ საბჭოთა კავშირის მიმართ და თუ ცნობას დააპირებდნენ, შეთანხმებით ყოფილიყო ეს. ამის გამო საფრანგეთი შეეკითხა ამერიკას, თუ რა აზრის არის საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. **იუზმა უპასუხა, რომ ამერიკას არაფერი არა აქვს საფრანგეთის განზრახვის წინააღმდეგ.** როგორც სჩანს ეს მოლაპარაკება შედეგია მოკავშირეებს შორის წინანდელი ხელშეკრულების—თავი შეიკავონ საბჭოთა კავშირის სეპარატიულად ცნობისაგან, **ყურადღების ღირსია, რომ ამერიკას აღარ ქალუძს შეუშალოს ხელი საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.**

იუზის ეს განცხადება მეტად საყურადღებოა, ის იწერება, რომ ხელს არ შეუშლის საფრანგეთს საბჭოთა კავშირის ცნობაში. ეს უსათუოდ დიდი პოლიტიკური გადატეხაა. ამას ამ ექვსი თვის წინედ ვერ ათქმევინებდით იუზს. დღეს კი საერთოდ სულ სხვა სიო ჰბერავს და ეს არის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

* * *

დღეს მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს იტალიაში ფაშიზმის კრიზისი და გამხეცება, თავგასულობა. სოციალისტ დეპუტატ მატეოტის ფაშისტების მიერ მოკვლამ მთელი მსოფლიო აახმაურა, ყველა აღაშფოთა ამ ვერაგულმა მკვლელობამ. ამ გარემოებამ გამოიწვია კრიზისი მთავრობისა.

რომიდან მიღებული ცნობით, გადადგენ მუსოლინის კაბინეტის ყველა მინისტრები. გადადგომის მიზანია—საშუალება მისცენ მუსოლინის თავისუფლად იმოქმედოს.

იტალიის პარლამენტში ოპოზიციონურმა პარტიებმა მოითხოვეს მუსოლინის გადადგომა. ოპოზიციონურმა პარტიებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ პარლამენტს, სანამ მუსოლინი არ გადადგება და აარეშოხდება ფაშისტური მილიციის დემობილიზაცია. ოპოზიციის აღნიშნული წინადადების გარშემო კამათის დროს, სიტყვით გამოვიდა ტურატი, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ვფიცავთ, რომ ჩქარა შურს ვიძიებთ მატეოტის მკვლელებზე“.

პროტესტის ნიშნად მატეოტის მოკვლის წინააღმდეგ მთელს იტალიაში 10 წუთით შეჩერებული იქნა მუშაობა. ხალხი მიდიოდა ამ

ადგილას, საიდანაც მოიტაცეს მატტეოტი, და ყვავილებით ამკობდა მას.

* * *

გერმანიასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ბერლინში უკვე დაიხურა ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა. გერმანიის პოლიციამ გაჩხრიკა საბჭოთა კავშირის გემი. ერთი სიტყვით მდგომარეობა მწვავეა.

* * *

ანტანტამ კი გერმანია თითქმის სავსებით დაიმონავა. გერმანიამ მიიღო ექსპერტთა გეგმები და ამის შესახებ ნოტით აცნობა მოკავშირეებს. პრესა საფრანგეთისა კმაყოფილია ამ ნოტით.

ჰრონიკა

25 აგვისტოს გამოვა „სიმართლის ხმის“ საიუბილეო ნომერი.—პროვინციელ ამხანაგებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ ამ ნომრისთვის წერილები და თავიანთი მოგონებები.

დასავლეთ საქართველოში წვიმა თითქმის ყველგან მოვიდა. სიმინდს ცოტათი გამოაკეთებს.

ლვინის მოსავალს მთელ საქართველოში კარგი პირი უჩანს.

1 ივლისიდან სახალხო მასწავლებლებს ჯამაგირი გაუდიდდებათ. 30 მან. იქნება მინიმუმი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ უამად არჩევს გ. საპრუნოვის და სხვ. საქმეს; გ. საპრონოვს გაუფლანგავს მიწად-მოქმედების კომისარიატის რწმუნებულად ყოფნის დროს 61.950 მ. სახაზინო ფული.

ამ უამად გაზ. „კომუნისტში“ სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა თემების რაიონიზაციის შესახებ. საკითხი სდგას: ძველი თემი, თუ ახალი რაიონი.

გამოქვეყნდა ნ. ჟორდანიას მიერ საქართველოს არალეგალური ცეკასადმი გამოგზავნილი წერილის შინაარსი.

სხვა და სხვა ამბები.

იტალიაში გრძელდება ფაშისტების კრიზისი.

მუსოლინის მთავრობა გადადგა.

თვითონ მუსოლინს მიანიჭეს დიქტატორული უფლებები.

ფაშისტები იმუქრებიან, რომ ისინი სა სტიკ ზომებს მიიღებენ ოპოზიციის წინააღმდეგ.

ინგლისში და იტალიაში იმართება ანტიფაშისტური დემონსტრაციები.

გრძელდება ფაშისტური ტერორი. მილანში მათ სასიკვდილოთ სცემეს ერთ შოფერს—სოციალისტური პარტიის წევრს.

გერმანიაში სასტიკად იდევნება კომპარტია. იქ დახურეს ყველა კომუნისტური გაზეთები.

სასამართლოებს მკაცრი დადგენილებები გამოაქვთ კომუნისტების წინააღმდეგ.

ტრედ-უნიონების (პროფკავშირები ინგლისის) საბჭომ საბჭოთა დელეგაციას გაუმართა ამხანაგური სადილი.

საფეიქრო დაწესებულებები გერმანიაში სამსახურიდან ითხოვენ მუშებს.

საფრანგეთმა ამერიკას მიმართა: ვიცნო თუ არა საბჭოთა კავშირიო.

ამერიკამ საფრანგეთს უპასუხა იუზის პირით: მე არაფერი არა მაქვს საწინააღმდეგო, თუ საბჭოთა კავშირს იცნობო.

იაპონია ამ დღეებში განაახლებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან.

ლონდონის კონფერენცია წარმატებით მუშაობს.

საფრანგეთი რამოდენიმე კვირის განმავლობაში იცნობს საბჭოთა კავშირს იურიდიულად

გერმანიის პოლიციამ გაჩხრიკა ჰამბურგში მყოფი საბჭოთა კავშირის გემი.

ბერლინში დაიხურა ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა.

ფინეთის გამოფენაზე საბჭოთა კავშირის პავილიონი საერთო ყურადღებას იპყრობს.

არგენტინა ამ დღეებში იცნობს საბჭოთა კავშირს.

გერმანიის პოლიციამ დაატუსაღა სრულიად გერმანიის მუშათა კონგრესი.

რუმინეთიდან მიღებული ცნობებით ბესარაბიაში მთლად დაიღუპა მოსავალი.

პოლონეთში ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებმა ლაპარაკის ნება არ მისცეს მთავრობის წარმომადგენელს.

მთელ საბჭოთა რუსეთში მოსავლის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

წინასწარი გამოანგარიშებით შარშანდელზე ცოტა ნაკლები იქნება წელს რუსეთში მოსავალი.

ამერიკაში ოგაოს შტატში ამოვარდა არაჩვეულებრივი გრიგალი, რომელმაც სრულიად გაანადგურა ორი ქალაქი. იპოვეს 400 მოკლული და 3.000 მძიმედ დაჭრილი.

რუსეთის კომპარტიის ცეკამ პარტიაში მიღება გაუადვილა სახალხო მასწავლებლებს.

ჩინეთ—საბჭოთა კავშირის ურთიერთობა თანდათან უფრო მეტ მეგობრულ ხასიათს ღებულობს.

კოპენგანგენში (დანია) გაიხსნა ქიმიკოსთა საერთაშორისო—კონგრესი.

გერმანიის მთავრობამ ექსპერტების გეგმა მიიღო და ამის შესახებ ნოტა გაუგზავნა მოკავშირეებს.

მოკავშირეები დაკმაყოფილებულნი არიან გერმანიის უკანასკნელი ნოტით.

ნაციონალისტები კი უარყოფენ მოკავშირეების ნოტას სამხედრო კონტროლის შესახებ.

საფრანგეთის პარლამენტში კომუნისტებმა მოითხოვეს დაპატიმრებულ კომუნისტთა განთავისუფლება.

პალატამ კომუნისტების მოთხოვნილება უარყო.

პარლამენტში რურის საოკუპაციო ხარჯების წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ კომუნისტებმა.

პოლონეთში მწვავდება სამრეწველო კრიზისი.

ეგვიპტეში ხდება ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში სწარმოებს ბრძოლა ერიოს მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს შორის.

ლონდონში 16 ივლისს გაიხსნება მოკავშირეთა კონფერენცია ექსპერტთა მოხსენებების განსახილველად.

— **რუმინეთში** კვლავ მოხდა ებრაელთა დარბევა. დაჭრილია 20 კაცი.

— **პოლონეთის** ერთ-ერთ ციხეში მოხდა ტუსაღთა აჯანყება. გაიქცა 76 ტუსაღი.

წერილები რედაქციის მიმართ.

1917 წლიდან მე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში, დღეს სრული ჩემის შეგნებით ვაფასებ რა საბჭოთა ხელისუფლების დადებითი მუშაობას მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვაში, ზიზღით ვიგონებ მენშევიკურ პარტიის მოღვაწეობას, რომელიც უმთავრესად გამოიხატებოდა ბურჟუაზიის ინტერესების დაცვაში მშრომელთა სახელით.

დღეს ვაცხადებ, რომ კომუნიზმის დროშა, რომელიც მშრომელთა ინტერესების გამარჯვების სიმბოლოა და იკრებს თავის გარშემო მშრომელთა მასას, მეც ამ დროშის ქვეშ მსურს დავდგე და მცირეოდენი ჩემი წვლილით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას. **შალვა სიმ. არაბიძე.**

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემს განცხადებას.

1904 წლიდან 1908 წ. დამლევამდე მე აქტიურ წევრად ვითვლებოდი ს. დ. პარტიაში. 1909 წლიდან, სწავლის გაგრძელების მიზნით, სრულიად შეეწყვიტე ყოველივე კავშირი პარტიასთან. მიუხედავათ ამისა, როგორც სტუდენტებთა გამოსვლებში, აგრეთვე ჯარში, ომის და რევოლიუციის ხანებში, გამოვდიოდი ამ პარტიის სახელით და ვხელმძღვანელობდი მისი ლოზუნგებით.

ვინაიდან დღესაც ზოგიერთ ჩემს ამხანაგებს და ნაცნობებს გონიათ, ვითომ მე ამ პარტიასთან რაიმე დამოკიდებულება მაქვს, ვაცხადებ, რომ მე ამიერიდან გამოვდივარ ამ პარტიიდან. ვდგები რა კომინტერნის მიერ არჩეულ ხაზზედ, მსურს კულტურული შრომით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას. **ვანო ბურჯანაძე.**

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჩლაიძე. ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. გ. ვარდოიანი.

ს. ს. ბ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 2785. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 1604 ტირაჟი 1200.